პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ოთხშაბათი, 26 სექტემბერი, 1951 წ. № 227 (9081). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია

განუხრელად ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება — მოწინავე (1-ლი გვერდი).

კომუნიზმის მშენებლობაში მოპოვებული ყოველი ახალი წარმატება მშვიდობის საქმეში შეტანილი წვლილია (1-ლი გვერდი).

პარტიული ორგანიზაცია დიად მშენებლობათა დაკვეთების შესრულებისათვის ბრძოლაში (მე-2 გვერდი).

მისალმებათა ნაკადი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი (მე-2 გვერდი).

ინტელიგენციის იდეურ-პოლიტიკური აღზრდა — „პრავდის“ 25-IX მოწინავე (მე-2 გვერდი).

ა. გაბუნია — სამგორის მშენებელთა ღირსების საქმე (მე-3 გვერდი).

გ. შოშიაშვილი—ჩვენი წვლილი მშვიდობის დაცვის საქმეში (მე-3 გვერდი).

გ. ხანეთაშვილი — ვიბრძვით შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის (მე-3 გვერდი).

ნ. მერაბიშვილი — შეგაცვლები ახალ ზღვარზე მუშაობით (მე-3 გვერდი).

მ. თიკანაშვილი — დურგალთა და მებეტონეთა შეჯიბრება (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

განუხრელად ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება

საბჭოთა ხალხი დაუღალავად შრომობს მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯის — ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი გადიდებისათვის. ამ შრომაში მას ხელმძღვანელობს და აღაფრთოვანებს ლენინ-სტალინის დიადი პარტია, წინ მიუძღვის ხალხთა გენიალური ბელადი და მასწავლებელი, მშვიდობის დიდი მედროშე ამხანაგი სტალინი.

საბჭოთა წყობილებამ, მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ ყველა პირობა შექმნა ჩვენს ქვეყანაში შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის. ჩვენი მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ახალი მშენებლობანი აღჭურვილია უახლესი საბჭოთა ტექნიკით, მაღალნაყოფიერი დაზგა-დანადგარებით, მძლავრი მექანიზმებით. საბჭოთა ხელისუფლების წლებში, თავისუფალი შრომის პირობებში ჩვენში მილიონობით აღიზარდნენ მაღალკვალიფიციური მუშათა კადრები, მოწინავე ტექნიკას საფუძვლიანად დაუფლებული ადამიანები. სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლამ და ამ მოძრაობაში მილიონობით ადამიანთა ჩაბმამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა შრომის მაღალ ნაყოფიერებას.

პარტია და მთავრობა მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ შრომის ნაყოფიერების გადიდების საკითხს. ჯერ კიდევ საბჭოთა წყობილების გამარჯვების პირველ წლებში დიდი ლენინი ამბობდა: **„შრომის ნაყოფიერება—ეს, საბოლოო ანგარიშით, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, ყველაზე უფრო მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად“.**

შრომის ნაყოფიერების გადიდების უდიდეს მნიშვნელობაზე არაერთხელ გაუმახვილებია საბჭოთა ხალხის ყურადღება ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს ამხანაგ სტალინს. სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირზე წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვაში ამხანაგმა სტალინმა მიგვითითა: **„სტახანოვური მოძრაობის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოადგენს ისეთ მოძრაობას, რომელიც ამსხვრევს ძველ ტექნიკურ ნორმებს, როგორც არასაკმარისს, აჭარბებს მთელ რიგ შემთხვევაში მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების შრომის ნაყოფიერებას და, ამრიგად, ჰქმნის ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შემდგომი განმტკიცების პრაქტიკულ შესაძლებლობას, ჩვენი ქვეყნის ყველაზე შეძლებულ ქვეყნად გადაქცევის შესაძლებლობას“.**

საბჭოთა ხალხმა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის ბრძოლაში შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვა. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია აღინიშნოს, რომ ომისშემდგომი ხუთწლედის უკანასკნელ წელს, 1940 წელთან შედარებით, მუშათა შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გაიზარდა 37 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების ასეთი დიდი ზრდა უზრუნველყო სახალხო მეურნეობის შემდგომი ხელახალი ტექნიკური შეიარაღების დიდი მასშტაბით განხორციელებამ, შრომატევად და მძიმე სამუშართა მექანიზაციამ, მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კვალიფიკაციის ამაღლებამ, შემოქმედებითი ინიციატივის გაფართოებამ. ჩვენს საწარმოებში და მშენებლობებზე ახლა ბლომად გვაქვს ისეთი მანქანები და მექანიზმები, რომლებიც ათეული და ასეული კვალიფიციური მუშის შრომას ცვლიან.

შრომის ნაყოფიერების ამაღლების საქმეში შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ იმ საწარმოებში, სადაც უნარიანად ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შეჯიბრებას, ყოველდღიურად ავლენენ მოწინავეებს, გულისხმიერად ეხმარებიან ჩამორჩენილებს, სწავლობენ ჩამორჩენის მიზეზებს, სახავენ და ახორციელებენ ღონისძიებებს საერთო წინსვლისათვის, არ კმაყოფილდებიან ცალკეული რეკორდებით, იბრძვიან იმისათვის, რომ თვითეული საამქრო, თვითეული ბრიგადა, თვითეული მუშა ყოველდღიურად გადაჭარბებით ასრულებდეს გამომუშავების ნორმებს.

ასეთ საწარმოთა რიცხვს ეკუთვნიან თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა, კიროვის სახელობის ჩარხთმშენებელი ქარხანა, ქუთაისის აბრეშუმკომბინატი და მთელი რიგი სხვა საწარმოები. მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში მუდამ დროულად ეხმაურებიან ყოველ ახალ, პატრიოტულ წამოწყებას, რომლებიც საშუალებას აძლევენ მას გაადიდოს შრომის ნაყოფიერება, გამოუშვას მეტი პირველხარისხოვანი პროდუქცია, დიდი რაოდენობით დაზოგოს ნედლეული და სახელმწიფოს მისცეს მილიონობით მანეთი ზეგეგმითი დაგროვება. ფაბრიკაში თითქმის ყველა მუშა ასრულებს გამომუშავების ნორმებს, ზრდის დაზგა-დანადგარების ნაყოფიერებას. ამ საწარმოს კამვოლური საამქრო დიდიხანია სტახანოვური საამქროს საპატიო სახელს ატარებს. ფაბრიკის კოლექტივი რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა მოსკოველი სტახანოველების მ. ლევჩენკოს და გ. მუხანოვის თაოსნობას შეჯიბრების გასაჩაღებლად თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. ახლა ათობით ბრიგადა მონაწილეობს ამ პატრიოტულ საქმეში.

კიროველი დაზგათმშენებლები შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის თვალსაჩინო ღონისძიებებს ახორციელებენ. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთელი რიგი დაზგების ლითონის ჩქარ ჭრაზე გადაყვანა, წარმოების ნაკადური სისტემის მოწყობა.

შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლაში წელს დიდი წარმატებანი მოიპოვეს რესპუბლიკის მეშახტეებმა. სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე მაღალნაყოფიერი შრომით მათ უზრუნველყვეს საგეგმო დავალების მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულება, დიდი სტალინისათვის მიცემული პირობის სასახელოდ განაღდება. ტყვარჩელისა და ტყიბულის შახტებში სადღეღამისო ციკლური გრაფიკით მუშაობის დანერგვამ, სამთო მექანიზმების გამოყენების გაუმჯობესებამ მეშახტეებს შესაძლებლობა მისცა მკვეთრად გაედიდებინათ შრომის ნაყოფიერება, სამშობლოსათვის მიეცათ ათეულ-ათასობით ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი.

წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად აამაღლეს შრომის ნაყოფიერება ჭიათურელმა მაღაროელებმაც. ამის შედეგად მათ შეძლეს რვა თვეში ცხრა თვის გეგმის შესრულება, რამაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით უზრუნველყო სასაქონლო პროდუქციის დამზადების 29,5 პროცენტით გადიდება.

მიუხედავად ამისა, ყველა საწარმოში მთელი პასუხისმგებლობით როდი იბრძვიან შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და დანადგარების სრული სიმძლავრით გამოყენებისათვის. თბილისის ლოკომოტივსარემონტო ქარხანა, რომელიც უახლესი საბჭოთა ტექნიკით არის აღჭურვილი, თავს ვერ აღწევს ჩამორჩენას. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა შარშან ამ საწარმომ მხოლოდ 73,5 პროცენტით შეასრულა, ხოლო სამეურნეო წლის პირველი ნახევრისა—61,5 პროცენტით. ასეთი სამარცხვინო ჩამორჩენის მიზეზები უპირველეს ყოვლისა ის არის, რომ ქარხნის მთელ რიგ წამყვან საამქროებში სოციალისტურ შეჯიბრებაში მუშათა ნახევარზე მეტი არ მონაწილეობს. ძლიერ სუსტია შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა. ხშირია მუშათა და დანადგართა მოცდენა. ქარხნის დირექცია ნორმალურად ვერ ამარაგებს საწარმოს აუცილებელი მასალებით, სათადარიგო ნაწილებით და ინსტრუმენტებით. ყოველივე ამის შედეგად ელმავლები და თბომავლები თვეობით დგანან სარემონტოდ ქარხანაში. ზოგიერთი ბრიგადა თავისი შესაძლებლობის ოცი პროცენტის გამომუშავებასაც ვერ აღწევს. ქარხნის ასეთ ჩამორჩენაში, დირექციასთან ერთად, უსათუოდ ბრალი მიუძღვით რკინიგზის ზემდგომ ხელმძღვანელ ორგანოებსაც.

შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლა მოუგვარებელია ზოგიერთ სხვა საწარმოშიც. ჩვენი ამოცანაა გადაჭრით აღმოვფხვრათ ყველა ის მიზეზი, რაც აფერხებს მუშათა შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

სოციალისტურმა წყობილებამ, წარმოების სოციალისტურმა სისტემამ უსაზღვრო შესაძლებლობანი შექმნეს ჩვენს ქვეყანაში შრომის ნაყოფიერების განუხრელად ამაღლებისათვის, მეტი სახალხო დოვლათის დაგროვებისათვის. ამ პირობების უნარიანი გამოყენება, შრომის ნაყოფიერების ყოველდღიური გადიდება თვითეული საწარმოს კოლექტივის საპატიო მოვალეობაა.

კომუნიზმის მშენებლობაში მოპოვებული ყოველი ახალი წარმატება მშვიდობის საქმეში შეტანილი წვლილია

★ ★ ★

სტახანოვურ ვახტზე

გორი. (საკ. კორ.). მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ გორის საწარმოთა და ახალმშენებლობათა კოლექტივები.

საკონსერვო ქარხნის კოლექტივი მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე დგას და წლიური გეგმის გადამეტებით ორი მილიონი ქილა კონსერვის გამოშვებისათვის იბრძვის.

სტახანოვურად მუშაობენ ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის საწარმოებში. კომბინატმა რვა თვის გეგმა 158,8 პროცენტით გაანაღდა. ნაყოფიერი მუშაობაა გაჩაღებული ფართო მოხმარების საგნების დამამზადებელ საწარმოში. მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ საშენ მასალათა წარმოებისა და ლუდ-ლიმონათის ქარხნის კოლექტივები, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ წლიური გეგმა შეასრულონ ვადამდე, დიდი ოქტომბრის 34-ე წლისთავისათვის.

როცა მშვიდობის ვახტზე დადგა, გორის სატარე-საყუთე ქარხნის კოლექტივმა წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესრულება იკისრა. ქარხანამ კასრების დამზადების რვა თვის გეგმა 144,5 პროცენტით შეასრულა, ხოლო ყუთების კომპლექტის დამზადებისა 143,3 პროცენტით. სექტემბერში ქარხნის კოლექტივი კიდევ უფრო ნაყოფიერად მუშაობს.

დიდი შრომითი აღმავლობაა ახალმშენებლობებზე. სტალინის მუზეუმის მშენებლები იბრძვიან იმისათვის, რომ მშენებლობა მიმდინარე წელს დაამთავრონ. ბრიგადა, რომელსაც გ. სუჯიაშვილი ხელმძღვანელობს, გრანიტით მოპირკეთების დღიურ გეგმას 130-145 პროცენტით ასრულებს, ხოლო გ. ხახუტაშვილის მლესავთა ბრიგადა 160 პროცენტით. მაღალნაყოფიერად მუშაობს თ. მირუაშვილი, რომელმაც ახლახან დაამთავრა გორის საქარხნო-საფაბრიკო სკოლა. რთული საქმეა ჩუქურთმების დამზადება. ამ სამუშაოს მაღალხარისხოვნად ასრულებენ მშენებლობაზე ახლად მოსული თბილისის სამხატვრო სახელოსნო სასწავლებლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები.

გორის საწარმოთა და ახალმშენებლობათა კოლექტივები მშვიდობის ვახტზე დგანან, წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს და თავდადებული შრომით ხელს უწყობენ მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

კოლმეურნეთა შემოქმედებითი შრომა

კასპი. (სპეც. კორ.). რაიონის მშრომელები ერთსულოვნად უერთებენ თავიანთ ხმას მთელი საბჭოთა ხალხის ხმას მშვიდობის დასაცავად. საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში გაჩაღდა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერა.

კავრეთის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე მტს-ის დირექტორმა ამხ. ა. ფხალაძემ განაცხადა: ჩვენი ქვეყანა ეწევა მშვიდობიან შემოქმედებით შრომას. რამდენიც უნდა ეცადონ ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები, მათ გეგმებს განხორციელება არ უწერია. მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე. ჩვენი ვალია უფრო ბეჯითად ვიშრომოთ. საშემოდგომო თესვას დავამთავრებთ 20 ოქტომბრისათვის, გეგმის გადამეტებით დავთესავთ 1.000 ჰექტარს. ვადამდე გადაჭარბებით გავანაღდებთ მზრალად ხვნის დავალებას, ფართოდ დავნერგავთ საათობრივი გრაფიკით მუშაობას.

სოფელ ნანიანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრებას 600-მდე კაცი დაესწრო. კრებაზე გამოსულებმა გ. გიოშვილმა, გ. გოგინაშვილმა, ს. გოგილაშვილმა იკისრეს ახალი ვალდებულებანი. ბრიგადირმა გ. გოგინაშვილმა ვალდებულება იკისრა სიმინდის მოსავალი უდანაკარგოდ აიღოს, გეგმის გადამეტებით დათესოს 20 ჰექტარი ხორბალი, აგროღონისძიებათა სრულად განხორციელებით მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 22 ცენტნერი ხორბალი.

მევენახეებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს ჩააბარონ 100 ცენტნერით მეტი ყურძენი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული, გააშენონ 3 ჰექტარი ახალი ვენახი.

მთლიანად კოლმეურნეობამ იკისრა: გეგმის გადამეტებით დათესოს ასი ჰექტარი ხორბალი და საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანოს სულ მცირე 18 ცენტნერი ხორბალი.

კოლმეურნეობაში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას უკვე ხელი მოაწერა ხუთასმა კოლმეურნემ.

მშვიდობის რეისები

მორიგ რეისზე გამგზავრების წინ ჩვენი მემანქანეები ამბობენ, „ეს მშვიდობის რეისიაო“. მართლაც, ჩვენი რეისები მშვიდობის რეისებია, რადგან ჩვენს მიერ გადატანილი ტვირთი ხმარდება საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, ხმარდება კომუნიზმის დიად მშენებლობებს.

საბჭოთა ადამიანს მშვიდობა სწყურია. მას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა მიზანი. ამიტომ მშვიდობის საქმის განსამტკიცებლად იგი გვიჩვენებს თავდადებული, სტახანოვური შრომის ნიმუშებს.

გამოქვეყნდა თუ არა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება სსრ კავშირში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის დაწყების შესახებ, მაშინვე სტახანოვურ ვახტზე დავდექი და ახალი ვალდებულება ვიკისრე. ამ თვეში უკვე დაზოგილი მაქვს 4-5 ტონა საწვავი. თვალისჩინივით ვუვლი და ვუფრთხილდები ჩემს ორთქლმავალს, ვმუშაობ უწუნოდ და უავარიოდ.

30 წელია ორთქლმავლის მემანქანედ ვმუშაობ და ამ ხნის განმავლობაში მრავალი ახალგაზრდა აღვზარდე. ვამაყობ, რომ ჩემი აღზრდილები — მემანქანე-ინსტრუქტორი ნ. გვენეტაძე, მემანქანეები ა. ლომსაძე, ვ. ჩომახიძე და მემანქანის მრავალი თანაშემწე თავიანთი საქმის სახელგანთქმული ოსტატები არიან.

საბჭოთა მთავრობამ ლენინის, წითელი დროშის და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით დამაჯილდოვა. ადამიანის ასეთი დაფასება შესაძლებელია მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, სადაც შრომა სახელისა და ღირსების საქმედ იქცა. ამიტომაც საბჭოთა ადამიანები გამსჭვალული ვართ მტკიცე გადაწყვეტილებით — არავის არ მივცეთ უფლება ხელი შეგვიშალოს მშვიდობიან შრომაში. ჩვენ მშვიდობა გვინდა და დავიცავთ კიდეც მას.

დავით ზეიკიძე

თბილისის ხაორთქლმავლო დეპოს ლუნინელი მემანქანე

დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს მატყლის დამზადების სახელმწიფო გეგმა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის დუშეთის რაიკომის მდივანი ამხ. ბექაური და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბურდული იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 22 სექტემბრისათვის 100,6 პროცენტით შეასრულეს მატყლის დამზადების წლიური გეგმა.

მატყლის დამზადება გრძელდება.

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს მატყლის დამზადების სახელმწიფო გეგმა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის ყვარლის რაიკომის მდივანი ამხ. მირიანაშვილი და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ავაზაშვილი იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 20 სექტემბრისათვის 101,8 პროცენტით შეასრულეს მატყლის დამზადების წლიური გეგმა.

მატყლის დამზადება გრძელდება.

ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი შ რ ო მ ი ს გ მ ი რ ე ბ ი



ა. ა. აბესაძე

ლაითურის კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 102,3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 4.116 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.



მ. ს. ქლენტი

მახარაძის რაიონის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.804 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.



ხ. ჯ. ხალვაში

ქობულეთის რაიონის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.366 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.



ი. ი. ხიონიძე

ქობულეთის რაიონის წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.314 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

თუჯის დნობის ახალი ტექნოლოგია

ლენინგრადი, 22 სექტემბერი. (საკდესი). თუჯის დნობისას ბოვებში მაღალი ტემპერატურის მისაღებად იხმარება კოქსი. უფრო იაფი სათბობის გამონახვის ცდა დღემდე უშედეგო იყო.

კარლ მარქსის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ინჟინერთა ჯგუფმა მ. ი. კალინინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერებთან თანამშრომლობით შექმნა და წარმოებაში დანერგა თუჯის დნობის ახალი ტექნოლოგია, რომლის მიხედვით კოქსის მნიშვნელოვანი ნაწილის ნაცვლად იხმარება საწვავი ფიქალი. ნოვატორებმა მიაღწიეს იმას, რომ კოქსთან შერეული ფიქალი იძლევა დნობის ნორმალური პროცესისათვის საკმაო ტემპერატურას.

ფიქალის გამოყენება საშუალებას აძლევს ქარხანას დაზოგოს 25 პროცენტი კოქსი. თვითეული ტონა სხმული წინანდელზე 20-25 მანეთით იაფი ჯდება.

ახალი ჯიშის ცხვარი

დამტკიცებულია გროზნოს ნაზმატყლიანი ცხვრის ახალი ჯიში, გამოყვანილი გროზნოს ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ჩერვლენიე ბურუნის“ მუშაკთა კოლექტივის მიერ.

გროზნოს ცხვარმა თავისი წინამორბედისაგან მემკვიდრეობით მიიღო მატყლის დიდი სიგრძე, სიმაგრე, სიხშირე და სხვა ძვირფასი თვისებანი. ახალი ჯიშის ცხვარი შეიძლება მოშენებულ იქნას ქვიშიანი და ყამირი საძოვრების რაიონებში.

საბჭოთა მეურნეობის ფარაში ამჟამად არის ახალი ჯიშის 20 ათასამდე სული ცხვარი. შარშან მატყლის ნაპარსი საბჭოთა მეურნეობის ფარაში საშუალოდ შეადგენდა 7,5 კილოგრამს თითო სულ ცხვარზე. (საკდესი).

ბროშურა-ლექციები მტს-ების მუშაკთათვის

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ მასობრივი ტირაჟით გამოუშვა სოციალისტური შრომის გმირის, სტალინური პრემიის ლაურეატის ქ. ა. ბორინის ბროშურა-ლექცია „კომბაინით მუშაობის გამოცდილება“. ბროშურაში აღწერილია ამ შესანიშნავი ოსტატის მუშაობის მრავალი წლის გამოცდილება. ბროშურის მნიშვნელოვანი ნაწილი მიძღვნილია საათობრივი გრაფიკით კომბაინის მუშაობის ორგანიზაციისადმი. ავტორი გვაცნობს ამ გრაფიკების გაანგარიშების მეთოდებს.

საზოგადოებამ გამოსაცემად მოამზადა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის გ. ი. ალექსანდროვის ბროშურა-ლექცია „საათობრივი გრაფიკი მტს-ში“, რომელიც განაზოგადებს სატრაქტორო ბრიგადების საათობრივი გრაფიკით მუშაობის გამოცდილებას. დასაბეჭდად მომზადებულია აგრეთვე უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ნ. ნ. სპერანსოვის ნაშრომი მტს-ის სატრაქტორო ბრიგადაში ნავთის მეურნეობის შესახებ და ინჟინერ ე. ა. სოროკინის ნაშრომი — ბალ-ბოსტნის ახალი ტრაქტორის — ხტზ-7 კონსტრუქციისა და მისი საკიდი მანქანების შესახებ. (საკდესი).

ვ. ი. ლენინის თხზულებათა 26-ე ტომი სომხურ ენაზე

ერევანი, 20 სექტემბერი. (საკდესი). სომხეთის სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ სომხურ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა 26-ე ტომი. თარგმანი განახორციელა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის სომხეთის ფილიალმა.

პარტიული ცხოვრება

პარტიული ორგანიზაცია დიად მშენებლობათა დაკვეთების შესრულებისათვის ბრძოლაში

კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთებს წარმატებით ასრულებს თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა. პირველი შეკვეთა ქარხანამ 1951 წლის იანვარში მიიღო ვოლგა-დონის არხისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებისაგან. მშენებლები ქარხნის კოლექტივისაგან მოითხოვდნენ მიეწოდებინათ სახარატო დაზგები.

ამ საპატიო ამოცანის შესრულებას სათავეში ჩაუდგა ქარხნის პარტიული ორგანიზაცია. მან აღნიშნული საკითხი ღია პარტიული კრების მსჯელობის საგნად გახადა. კრებაზე დაწვრილებით განემარტათ მუშა-მოსამსახურეებს კომუნიზმის დიად მშენებლობათა მნიშვნელობა. გამოსული ამხანაგები სახავდნენ საპატიო დავალების უკეთესად შესრულების გზებს, პირობას იძლეოდნენ, რომ მშენებლებს დროზე და მაღალხარისხოვან პროდუქციას მიაწვდიდნენ.

გასაგზავნი დაზგების დამზადება დაევალათ ამწყობი და მექანიკური საამქროების კოლექტივებს.

პარტორგანიზაციამ გაშალა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა იმისათვის, რომ მთელი ქარხანა, ყველა საამქრო, ცვლა და მუშა სისტემატურად ასრულებდნენ დეტალებისა და მთლიანად დაზგების დამზადების გეგმას. მოეწყო აგიტკოლექტივის სპეციალური მეცადინეობა, რომელზეც მოსმენილ იქნა პარტბიუროს მდივნის ამხ. კ. გოგლიძის მოხსენება თემაზე: „აგიტატორების ამოცანები კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთების შესრულების საქმეში“. აგიტატორებს მითითება მიეცათ, თუ როგორ მოეწყოთ საუბრები, როგორ დაეკავშირებინათ კომუნიზმის დიადი მშენებლობის საკითხები ქარხნის კოლექტივის ამოცანებისათვის. მოწინავე აგიტატორები კომუნისტები ნ. გიორგაძე, ლ. გოგიჩაძე, ი. შუბლაძე, ვ. იაცუკი და სხვები სისტემატურად, კვირაში ორჯერ აწყობენ საუბრებს მსმენელთათვის საინტერესო საკითხებზე, განსაკუთრებით დიად მშენებლობათა შესახებ, რაზმავენ მუშებს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების, ნედლეულის ეკონომიის, თვითღირებულების შემცირების, საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ეწყობა სტახანოველთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება დაზგების დეტალების დამზადების საკითხებზე. ქარხნის მუშებმა ამას წინათ დიდი ინტერესით მოისმინეს საგეგმო და საწარმოო განყოფილების უფროსის დ. გოგოლაძის, საინსტრუქტორო განყოფილების უფროსის კონსტრუქტორ პ. აბესაძის მოხსენებანი კომუნიზმის დიადი მშენებლობებისა და ქარხნის ამოცანების შესახებ. თავისი მუშაობის გამოცდილება ამხანაგებს გაუზიარა სამჭედლო საამქროს უფროსმა ლ. ნადიროვმა.

ქარხანაში გამოდის 14 კედლის გაზეთი, რომლებიც სისტემატურად აშუქებენ კომუნიზმის დიად მშენებლობათა საკითხებს, წერენ მოწინავე და ჩამორჩენილი მუშების საქმიანობაზე. გამოირჩევა კედლის გაზეთები: „კიროველი“, „კომკავშირელი“, „ამწყობი“ და სხვ. აღნიშნული გაზეთები დიად მშენებლობათა დაკვეთების მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან. სერიოზული ყურადღება ექცევა თვალსაჩინო აგიტაციას. ყველა საამქროში გამოკრულია ლოზუნგები, პლაკატები, რომლებიც დიად მშენებლობათა დაკვეთების მაღალხარისხოვნად შესრულებისაკენ მოუწოდებენ. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საპატიო დაფა, რომელზეც სისტემატურად აღინიშნება მოწინავე მუშების გვარები. მაგალითად, ქარხანაში ხშირად ლაპარაკობენ კომუნისტ ზეინკლებზე ა. ბენდიანიშვილზე, ი. ფირცხალავაზე, ხარატ პ. ზუბრიცკიზე და სხვ. უფროს თაობას არც ახალგაზრდა მუშები ჩამორჩებიან. განსაკუთრებით გაითქვეს სახელი მღარავებმა სალომე ალავერდაშვილმა და ვ. ბაქრაძემ, რომლებიც საწარმოო დავალებებს 200 და ზოგჯერ 300 პროცენტითაც ასრულებენ.

დაზგების დამზადების შემდეგ ერთ-ერთ სერიოზულ სამუშაოს წარმოადგენს მათი შეფუთვა და დროულად გაგზავნა. პარტიულმა ორგანიზაციამ ამ საქმეს თავიდანვე მიაქცია ყურადღება. პარტბიუროს წევრები სისტემატურ კონტროლსა და დახმარებას უწევენ შემფუთავი მუშების საქმიანობას. შემფუთავი მუშა ვ. პრავდინი, ოსტატი ი. ლისიხი, მტვირთავები შ. ხიზამბარელი, ნ. ბარნოვა, ს. მახნაჩოვი და სხვები მუშაობის შესანიშნავ მაგალითებს იძლევიან.

პარტიულ-პოლიტიკური და სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის კარგად მოწყობის შედეგად ქარხანა დიდი გადაჭარბებით ასრულებს გასაგზავნი დაზგების დამზადების გეგმას.

საწარმოს კოლექტივი, ამაყობს რა იმით, რომ კომუნიზმის მშენებლობებზე გამოყენებულია თბილისის დაზგათმშენებელი ქარხნის მარკის დაზგები, ჩვეული ენერგიით განაგრძობს მუშაობას საპატიო შეკვეთების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

მ. ვარდოსანიძე



ვოლგა-დონმშენი. ფიცრის ფარების დადგმა მე-13 რაბის ზედა ნაწილის მე-2 თაროსის დახაბეტონებლად.

ფოტო ს. კრომპოვნიცკისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

დონი გადალობეს 8 საათსა და 50 წუთში

დაბა ნოვო-სოლენოვსკი (როსტოვის ოლქი), 22 სექტემბერი (საქდესი). დღეს ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძის მშენებლებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს: დონის ძველი კალაპოტი გადალობილ იქნა და მდინარე წავიდა ახალი გზით ჰიდროტექნიკური ნაგებობებით.

დონის გადალობვა დაიწყო გუშინ 18 საათსა და 50 წუთზე.

დღეს ღამის 3 საათსა და 40 წუთზე იმ ადგილას, სადაც გუშინ დონი მიდიოდა წამში 3 მეტრზე მეტი სისწრაფით, წყლის დონეს ორი მეტრით ასცილდა ქვის ყრილი.

ნავარაუდევი იყო, რომ დონის გადალობვას მოუნდებოდა 40 საათი. მშენებლებმა იკისრეს 35 საათში შეესრულებინათ დავალება. გადალობვა კი შესრულებულ იქნა 8 საათსა და 50 წუთში. მდინარეში ჩაყარეს 909 ავტო-მანქანა ქვა.

დღეს 21 საათისათვის ჰიდრომექანიზატორებმა ქვის ყრილის ზემო ნაწილში ჩაყარეს 50 ათას კუბურ მეტრზე მეტი სილა.

დონმა კალაპოტი იცვალა. მდინარის მაღალი მარჯვენა ნაპირიდან მოჩანს მისი ახალი გზა. დაახლოებით ერთ კილომეტრზე კალაპოტის კაშხალამდე, რომელმაც ახლა სავსებით გადალობა მდინარე, დონი უხვევს მიმყვან არხში და რკინაბეტონის კაშხალის ფსკერის ხვრეტილებით შედის ქვაბულში. ახლა ქვაბული წყლით სავსეა. მისი დონე მდინარის დონეს უდრის. ქვაბულიდან საგდები არხით დონი შედის თავის ჩვეულებრივ კალაპოტში გადალობვის ქვემოთ.

დონი დაემორჩილა საბჭოთა ადამიანს და მიდის მისთვის გაკვლეული ახალი გზით.

გიგანტური მილსადენი ციმლიანსკაიას ჰესისათვის

ჟდანოვი, 21 სექტემბერი. (საქდესი). დღეს ჟდანოვის ლითონკონსტრუქციათა ქარხანამ ვადაზე ერთი თვით ადრე დაამთავრა ციმლიანსკაიას ჰესისათვის გიგანტური მილსადენის აწყობა. მილსადენი ნავარაუდევია იმისათვის, რომ დონის წყალი მიუშვან ჰიდროკვანძის სატუმბავ სადგურზე. მილსადენის დიამეტრი სამი მეტრია, სიგრძე—1.500 მეტრამდე. იგი გარედან დამაგრებულია ფოლადის გვერგვებით, რომლებზეც გაკეთებულია 70 ათასზე მეტი მეტრი ელექტროშედუღებული ნაკერი.

მშენებელთა ამ საპატიო დაკვეთის ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრებაში ქარხნის მთელი კოლექტივი იღებდა მონაწილეობას.

მთელი მილსადენი უკვე გაიგზავნა დიდ მშენებლობაზე. მის გადასატანად საჭირო გახდა რკინიგზის ორი ეშელონი.

ამჟამად ქარხანა სატუმბავი სადგურების ვეებერთელა სიფონებს ამზადებს „ვოლგადონმშენისათვის“.

მეღითონეებმა ხელი მოაწერეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას, დადგნენ სტახანოვურ ვახტზე და ვალდებულება იკისრეს თვის ბოლომდე მთლიანად შეასრულონ კომუნიზმის დიად მშენებლობათა დაკვეთების წლიური დავალება.

მომავალი ზღვის ფსკერზე

სტალინგრადი. (საქდესი). ციმლიანსკაიას მომავალი ზღვის ფართობი დაახლოებით 6,5 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. ამჟამად წმენდენ იმ დაბლობს, რომელიც გაზაფხულზე დონის წყლით უნდა აივსოს. მუშაობაში ფართოდ იყენებენ ავტომანქანებს, ტრაქტორებს, ექსკავატორებს.

უნდა განხორციელდეს 400-მდე კოლის ევაკუაცია, გაიჩეხოს 10 ათასზე მეტი ჰექტარი ტყე, ამოიძირკოს ჯირკვები, რათა უზრუნველყოფილ იქნას გემების უშიშარი გზა. ვოლგა-დონის მშენებლებს სტალინგრადისა და მისი ოლქის მშრომელები ეხმარებიან.

რუსული მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი

რუსული მათემატიკისა და მექანიკის განვითარებაში თვალსაჩინო როლი შეასრულა რუსული მეცნიერების ერთ-ერთმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა მიხეილ ვასილის-ძე ოსტროგრადსკიმ. მოსკოვისა და სხვა ქალაქების მეცნიერები აღნიშნავენ მისი დაბადების 150 წლისთავს, რაც 24 სექტემბერს შესრულდა.

ამ დღეს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საკავშირო საზოგადოებამ გამართა მ. ვ. ოსტროგრადსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საჯარო ლექციები. მისი რჩეული თხზულებანი გამოსცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ.

მ. ვ. ოსტროგრადსკიმ მოგვცა ჰიდროსტატიკის, ჰიდროდინამიკის, დრეკადობის თეორიის, მიზიდულობისა და ბალისტიკის თეორიის მნიშვნელოვან ამოცანათა ორიგინალური გადაწყვეტა, დაამკვიდრა რუსეთის პრიორიტეტი მთელ რიგ მნიშვნელოვან აღმოჩენებში.

მ. ვ. ოსტროგრადსკი არჩეული იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის, აგრეთვე მთელი რიგი სხვა ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსად. იგი სამართლიანად ითვლება რუსული მათემატიკური სკოლის ერთ-ერთ დამაარსებლად. თავის გამოსვლებსა და შრომებში მეცნიერი მუდამ აცხადებდა, რომ მეცნიერების პროგრესი განუყრელად დაკავშირებულია მისი შედეგების პრაქტიკულად გამოყენებასთან.

მ. ვ. ოსტროგრადსკის გამოკვლევებს ჰიდროდინამიკის დარგში ჩვენს დროშიც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. საბჭოთა მეცნიერები წარმატებით ავითარებენ და იყენებენ მათ გრანდიოზული ჰიდრომშენებლობის ამოცანების გადაჭრისას. (საქდესი).

მისალმებათა ნაკადი

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით მისალმებანი გამოგზავნეს და ამხანაგ სტალინს გულთბილად უსურვეს ჯანმრთელობა და მრავალ წელს სიცოცხლე:

პინსკის ოლქის ტელეხანის საბავშვო სახლის აღსაზრდელებმა, აღმზრდელებმა და მუშაკებმა;

როსტოვის ოლქის კაგალნიცკაიას რაიონის კავშირგაბმულობის მუშაკებმა;

ალტაის მხარის აკუტიხის საშუალო სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივმა;

სარატოვის ოლქის პუგაჩევის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა;

ტიუმენის ოლქის ხანტი-მანსის ეროვნული ოკრუგის კონდის რაიონის მედიცინის მუშაკთა კოლექტივმა;

სტალინგრადის ოლქის ილოვლინსკაიას საშუალო სკოლის მასწავლებლებმა;

კრასნოდარის სამხარეო სახელმწიფო ფილარმონიის მუშაკთა კოლექტივმა;

აზერბაიჯანის სსრ ლენქორანის რაიონის ილიჩევკის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს მშრომელებმა;

სტალინგრადის ოლქის სემიონოვკის სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა;

ქალაქ ალმა-ატის № 42 და № 64 სკოლების მასწავლებელთა კოლექტივმა და მოსწავლეებმა;

სტალინგრადის ოლქის კომსომოლსკის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი ოკტიაბრის“ წევრებმა;

მოგილიოვის ოლქის კლინოვკის მტს-ის მუშაკებმა;

აზერბაიჯანის სსრ კახის რაიონის კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კოლექტივმა;

ნახჭევანის ასსრ ორდუბადის რაიონის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ტიუმენის ოლქის ხანტი-მანსის ეროვნული ოკრუგის სურგუტის თევზის კონსერვის ქარხნის აგანის სათევზაო უბნის მუშაკთა კოლექტივმა;

ქალაქ ჩელიაბინსკის № 6 საბავშვო სახლის აღსაზრდელებმა;

როსტოვის ოლქის პირველი მაისის მტს-ის მუშაკთა კოლექტივმა;

მოლოდეჩნოს ოლქის პოსტავის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა;

როსტოვის ოლქის კრასნი სულინის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა;

ალტაის მხარის კამენის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ და მშრომელებმა;

კიროვოგრადის ოლქის ბოლშაია ვისკის რაიონის მარიიანოვსკის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭომ;

სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინიგზის სადგურ ბალაშოვის სამაცივრო პუნქტის მუშაკთა კოლექტივმა;

კუიბიშევის ოლქის სიზრანის პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელთა, მოსწავლეთა და თანამშრომელთა კოლექტივმა;

„მლავენერგესნაბის“ ტემრიუკის ნავთის ბაზის მუშაკებმა;

მოლდავეთის სსრ ატაკის რაიონის საფინანსო-საბანკო მუშაკებმა;

სახელმწიფო ბანკის ტიუმენის ოლქის კაზანსკოეს განყოფილების მუშაკთა კოლექტივმა;

ნოვოსიბირსკის ოლქის ვესიოლოვსკოეს რაიონის ულიანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

სარატოვის ოლქის დუხოვნიცკოეს რაიონის საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა კოლექტივმა;

ნოვოსიბირსკის ოლქის თიაშის რაიონის რაზანოვკის სკოლის მასწავლებლებმა;

სახელმწიფო ბანკის მოლოტოვის ოლქის განყოფილების მუშაკებმა;

ალტაის მხარის უსტ-კალმანკის რაიონის კავშირგაბმულობის მუშაკებმა;

ნამანგანის საოლქო გაზეთ „ზა კომუნიზმუს“ რედაქციის მუშაკთა კოლექტივმა;

ქალაქ ოდესის ლენინის რაიონის მე-5 მუსიკალური სკოლის მოსწავლეებმა და თანამშრომელთა კოლექტივმა;

კალუგის ოლქის კონდროვის საშუალო სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივმა;

კალუგის ოლქის ლიუდინოვის საბავშვო სახლის მუშაკთა კოლექტივმა;

ივანოვოს ოლქის პალეხის რაიონის მედიცინის მუშაკებმა;

კურსკის ოლქის ქალაქ ვალუიკის სარეწაო არტელ „პროლეტარის“ წევრებმა;

ვორონეჟის ოლქის მელოვატკის რაიონის მედიცინის მუშაკთა კოლექტივმა;

აზერბაიჯანის სსრ ახსუს კავშირგაბმულობის კანტორის მუშაკებმა;

აზერბაიჯანის სსრ მასალის რაიონის ჯაფარიძის სახელობის სარეწაო არტელის მუშაკებმა;

ქალაქ ლვოვის 58-ე სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

სარატოვის ოლქის ... რაიონის XVIII პარტყრილობის ... წევრებმა;

ბარანოვიჩის ოლქის ნოვოგრუდოკის რაიონის მედიცინის მუშაკთა კოლექტივმა;

უკრაინის სსრ ხარკოვის ოლქის ნოვაია ვოდოლაგის რაიკომმა;

სტალინგრადის ოლქის მაჩეხის რაიონის მედიცინის მუშაკთა კოლექტივმა;

პენზის ოლქის შემიშეიკის რაიონის ხინდისის მტს-ის მექანიზატორთა კოლექტივმა;

კურსკის ოლქის სუჯის რაიონის სამომხმარებლო კავშირის მუშაკთა კოლექტივმა;

კრასნოდარის მხარის ტემირგოევსკაიას რაიონის ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

აზერბაიჯანის სსრ კასუმ-ისმაილოვის რაიონის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

სარატოვის ოლქის ბალტაის რაიონის ბოლშოი-ოზერსკის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივმა;

მოლოდეჩნოს ოლქის კრივიჩის მშრომელთა დეპუტატების რაიონულმა საბჭომ;

ქალაქ დაუგავპილსის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის მუშაკთა კოლექტივმა;

ქალაქ დონის როსტოვის არტელ „კრასნი ობუვშჩიკის“ კოლექტივმა;

სტავროპოლის მხარის ქალაქ ჩერკესკის არტელ „პიატილეტკის“ წევრებმა;

სტალინგრადის ოლქის რაკოვსკის ნავთის ბაზის მუშაკთა კოლექტივმა;

გომელის ოლქის ტუროვიჩის რაიონის ლოევის საავადმყოფოს მედიცინის მუშაკთა კოლექტივმა;

კიროვოგრადის ოლქის ზლატოპოლის რაიონის საფინანსო-საბანკო მუშაკთა კოლექტივმა;

ოდესის რკინიგზის სადგურ გლინიანაიას მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

სტალინგრადის ოლქის კიკვიძის რაიონის ზაიაზინსკის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა;

კარელია-ფინეთის სსრ კემის რაიონის ოქტომბრის მე-12 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ქალაქ ვოლოგდის № 30 სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივმა;

სტალინგრადის რკინიგზის სადგურ ფილონოვის კომკავშირელებმა და არაკომკავშირელმა ახალგაზრდობამ;

ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზის კავკაზსკაიას საორთქლმავლო დეპოს მუშებმა, ინჟინერტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ვოლინის ოლქის ბერესტეჩკის რაიონის მუშურ-გლეხური წითელი არმიის 23 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ხარკოვის ოლქის ზაჩეპილოვკის რაიონის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის“ წევრებმა;

კალუგის ოლქის მოსალსკის რაიონის ზისტროკის სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივმა;

მოლოდეჩნოს ოლქის რადოშკოვიჩის რაიონის კომკავშირელებმა და არაკომკავშირელმა ახალგაზრდობამ;

ნოვოსიბირსკის ოლქის კუპინოს რაიონის სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა;

პინსკის ოლქის ტელეხანის რაიონული სამომხმარებლო კავშირის მუშაკთა კოლექტივმა;

მოლოდეჩნოს ოლქის ვილეიკის პურის კომბინატის მუშაკთა კოლექტივმა;

როსტოვის ოლქის კაშარის რაიონის ვერხნემაკეევკის საშუალო სკოლის მასწავლებლებმა;

ნოვოსიბირსკის ოლქის კუპინოს რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა;

ქალაქ ტაგანროგის ქალთა № 26 საშუალო სკოლის პედაგოგთა კოლექტივმა;

სამხრეთ რკინიგზის სადგურ ოსნოვის რკინიგზის № 9 საშუალო სკოლის მასწავლებელთა კოლექტივმა;

ქალაქ მოსკოვის ჟდანოვის რაიონის № 51 საბავშვო სახლის აღსაზრდელებმა;

კრასნოდარის მხარის კურგანნაიას საშუალო სკოლის მოსწავლეებმა;

ჩიტის ოლქის ნერჩინსკის რაიონის შემეტოვკის სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

ნოვოსიბირსკის ოლქის სუზდალის საბავშვო სახლის აღსაზრდელებმა;

პოლტავის ოლქის გადიაჩის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა;

ალტაის მხარის უსტ-კალმანკის რაიონის მიხაილოვკის საავადმყოფოს მუშაკთა კოლექტივმა;

ქალაქ ულან-უდეს რკინიგზის ქალთა № 66 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა და პედაგოგიურმა კოლექტივმა;

ქალაქ არხანგელსკის № 25 ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

უდმურტეთის ასსრ ქალაქ იჟევსკის № 13 დაწყებითი სკოლის მოსწავლეებმა.

(გაგრძელება იქნება)

ინტელიგენციის იდეურ-პოლიტიკური აღზრდა

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით განხორციელებული უდიდესი კულტურული რევოლუციის შედეგად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა ახალი, საბჭოთა ინტელიგენცია. ხალხთან ყველა ფესვით დაკავშირებული ეს ინტელიგენცია მუშებთან და კოლმეურნეებთან ერთად, მათ მხარდამხარ აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას.

ბურჟუაზიული ინტელიგენციისაგან განსხვავებით, რომლის უმეტესობა კაპიტალისტებსა და მემამულეებს ემსახურება, ჩვენს საბჭოთა ინტელიგენციას სძულს ექსპლოატატორები და რწმენითა და სიმართლით ემსახურება მშრომელებს. ამისათვის უყვარს საბჭოთა ხალხს თავისი ინტელიგენცია, ამაყობს მით, საყოველთაო დაფასებითა და პატივისცემით მოსავს მის შემოქმედებით შრომას.

წლითიწლობით იზრდება საბჭოთა ინტელიგენციის კადრები. მის რიგებს განუწყვეტლივ ემატებიან მუშები და კოლმეურნეები, რომლებმაც სასწავლებლები დაამთავრეს და პრაქტიკულ მუშაობაში გაიზარდნენ. მუშათა კლასისა და გლეხობის კულტურულ-ტექნიკურ აღმავლობასთან ერთად მიმდინარეობს გონებრივ შრომასა და ფიზიკურ შრომას შორის წინააღმდეგობის მოსპობის პროცესი. წარმატებით ხორციელდება ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ისტორიული ამოცანა: გავხადოთ ყველა მუშა და ყველა გლეხი კულტურული და განათლებული.

ინტელიგენციის კადრების განუხრელი, სულ უფრო ჩქარი ზრდა კომუნიზმის გზით წინ მიმავალი საბჭოთა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კანონზომიერებაა. წარმატებით რომ განახორციელოს თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მეცნიერულად რომ წარმართოს მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგი, ქვეყანას უნდა ჰყავდეს ინტელიგენციის სულ უფრო მრავალრიცხოვანი კადრები.

ახალგაზრდა კადრების გამოზრდა და ჩამოყალიბება ჩვენში, ჩვეულებრივ, მეცნიერებისა და ტექნიკის ცალკე დარგების მიხედვით, სპეციალობათა მიხედვით მიმდინარეობს. **„მაგრამ არის მეცნიერების ერთი დარგი,** — თქვა ამხანაგმა სტალინმა მოხსენებაში საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე, — **რომლის ცოდნა სავალდებულო უნდა იყოს მეცნიერების ყველა დარგის ბოლშევიკებისათვის, — ეს არის მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება საზოგადოების შესახებ, საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ, პროლეტარული რევოლუციის განვითარების კანონების შესახებ, სოციალისტური მშენებლობის განვითარების კანონების შესახებ, კომუნიზმის გამარჯვების შესახებ“.**

ბოლშევიკური პარტია უდიდეს მუშაობას ეწევა პარტიული და არაპარტიული ინტელიგენციის კადრების იდეოლოგიური მომზადებისა და პოლიტიკური გამოწრთობისათვის. ამ ამოცანის გადასაჭრელად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“, ვ. ი. ლენინის, ი. ბ. სტალინის თხზულებების, აგრეთვე ენათმეცნიერების საკითხებზე ამხანაგ სტალინის კლასიკური შრომების ფართოდ გავრცელებას. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა შესწავლა საბჭოთა ინტელიგენციის კადრებს აიარაღებს მოწინავე რევოლუციური თეორიით, საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნით, იმის უნარით, რომ ეს კანონები გამოიყენონ თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში.

საბჭოთა ინტელიგენციის კადრების იდეურ აღზრდაში განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული გადაწყვეტილებანი ლიტერატურის, თეატრის, კინოსა და მუსიკის საკითხებზე. ფილოსოფიის, ბიოლოგიის, ფიზიოლოგიისა და ენათმეცნიერების საკითხებზე ამ უკანასკნელ წლებში გამართულმა შემოქმედებითმა დისკუსიებმა დიდი დახმარება გაუწია ინტელიგენციის ფართო წრეებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებაში, იმაში, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის დებულებანი შემოქმედებითად გამოიყენონ მეცნიერებისა და კულტურის განვითარების ურთულესი საკითხების გადასაწყვეტად.

პარტიის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა და მითითებებმა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე უზრუნველყო იმ მუშაობის ახალი აღმავლობა, რომელსაც პარტიული ორგანიზაციები ეწევიან ინტელიგენციის აღსაზრდელად საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ლენინ-სტალინის დიადი იდეების სულისკვეთებით. პარტიული ორგანიზაციები გულმოდგინედ აუმჯობესებენ ინტელიგენციასთან მუშაობას, ეყრდნობიან მას მთელ თავიანთ მუშაობაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის დარგში. მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საკითხთა განხილვა ახლა უფრო ხშირად ხდება პარტიული კომიტეტების სხდომებზე.

მოსკოვის, ლენინგრადისა და ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი სხვა უმსხვილესი სამრეწველო ცენტრების პარტიული ორგანიზაციები, ინტელიგენციის აღზრდის დარგში დიდი მუშაობის წყალობით, განუწყვეტლივ ზრდიან მის როლს ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ყველა უბანზე. მტკიცდება მეცნიერებისა და წარმოების მოღვაწეთა შემოქმედებითი თანამშრომლობა ტექნიკური პროგრესისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში. ინტელიგენცია აქტიურად მონაწილეობს საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში, იგი კომუნიზმის დიად მშენებლობათა გეგმების წარმატებით განხორციელებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებშია.

აზერბაიჯანის პარტიული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევს მეცნიერული და შემოქმედებითი კადრების იდეურ აღზრდას. მან ამხილა მთელი რიგი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ტენდენციები ისტორიული ფაქტების გაშუქებაში და ამით უფრო მტკიცედ დარაზმა ეროვნული ინტელიგენციის კადრები სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშის ქვეშ. ინტელიგენციის იდეურად აღზრდისათვის მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკების — ლიტვის, ლატვიის, მოლდავეთისა და ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების პარტიული ორგანიზაციები. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები გულმოდგინედ ავრცელებენ ინტელიგენციაში საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებს, ამხილებენ ბურჟუაზიული ნაციონალიზმის რეაქციულ არსს, ცხადყოფენ თუ რა დიდად ეწინააღმდეგება იგი ხალხთა ინტერესებს.

შეიძლებოდა მოგვეყვანა ბევრი მაგალითი, რომლებიც მეტყველებენ ინტელიგენციის იდეური აღზრდის საქმეში პარტიული ორგანიზაციების დიდ და ნაყოფიერ მუშაობაზე. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ კომუნისტური მშენებლობის ინტერესები მოითხოვს ინტელიგენციაში პარტიული ორგანიზაციების იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ აღმავლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ინტელიგენციის აღზრდის საქმეში ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის მუშაობას ჯერ კიდევ ცოტა ნაკლი როდი აქვს. ამ მხრივ დამახასიათებელია ლვოვის პარტიული ორგანიზაცია. ასრულებენ რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებას, ლვოვის ოლქის პარტიულმა ორგანოებმა უკანასკნელ დროს შესამჩნევად გააძლიერეს ყურადღება ინტელიგენციისადმი. მაგრამ მათ დღემდე ხშირად ეპარებათ მხედველობიდან კულტურული მშენებლობის მნიშვნელოვანი უბნები. როგორც „პრავდაში“ უკვე ვიუწყებოდით, ლვოვის ოლქში დამაკმაყოფილებლად არ არის დაყენებული ლექციური პროპაგანდა, დიდი ნაკლოვანებებია მუზეუმების მუშაობაში. ლვოვის საქალაქო კომიტეტს არ გაუკეთებია საჭირო დასკვნები იდეოლოგიურ საკითხებზე პარტიის მითითებებიდან და უკანასკნელ დრომდე სათანადოდ არ უმუშავნია შემოქმედებითი მუშაკების იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაზე. ამან გამოიწვია, კერძოდ, შეცდომები ზოგიერთი ლვოველი მწერლის შემოქმედებაში.

ინტელიგენციასთან მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებებს უშვებს პარტიის დაღისტნის საოლქო კომიტეტი. იგი ნაკლებად სწვდება მეცნიერებათა აკადემიის ფილიალისა და მის დაწესებულებათა საქმიანობას, სუსტად ავითარებს კრიტიკას მეცნიერ მუშაკთა შორის. საოლქო კომიტეტმა თავის დროზე არ ამხილა ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ დაშვებული შეცდომები, არ გააკრიტიკა ამ ინსტიტუტის მთელი რიგი მანკიერი შრომები დაღისტნის ისტორიისა და ენათმეცნიერების საკითხებზე. საოლქო კომიტეტს არ მოუწყვია მიურიდიზმის მოძრაობისა და შამილის როლის რეაქციული არსის ფართო ახსნა-განმარტება ინტელიგენციაში და ყველა მშრომელთა შორის. იგი კონტროლს არ უწევს დაღისტნის ხალხთა ენებზე უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებთა თარგმნას. რესპუბლიკაში მცირე რაოდენობით გამოდის პოლიტიკური, მხატვრული და სპეციალური ლიტერატურა ადგილობრივ ეროვნებათა ენებზე.

ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული ორგანო ნაკლებ ყურადღებას აქცევს იმ საბჭოთა დაწესებულებების, სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების და შემოქმედებითი ორგანიზაციების პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას, რომლებშიც თავმოყრილია ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კადრები.

ახლა, როცა პარტიული ორგანიზაციები ემზადებიან პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის დაწყებისათვის, განსაკუთრებული მზრუნველობა უნდა გამოვიჩინოთ იმისათვის, რომ მარქსისტულ-ლენინურ სწავლაში ჩავაბათ ინტელიგენციის ფართო წრეები. მაქსიმალური ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენი ინტელიგენციის კადრების მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შესწავლის ორგანიზაციას.

კადრები ჩვენი სახელმწიფოს ოქროს ფონდია. პარტიის ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინური აღზრდა თავის ერთ-ერთ უპირველეს და უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია. დაულალავად ზარდოს ინტელიგენციის კადრები, შეაიარაღოს იგი მოწინავე რევოლუციური თეორიით, გამოაწრთოს კომუნიზმისათვის ბრძოლაში, აღზარდოს ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით — აი თვითეული პარტიული ორგანიზაციის უპირველესი მოვალეობა.

„პრავდის“ 26.IX მოწინავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამგორის ველი უახლოეს მომავალში გადაიქცევა აყვავებულ ბაღებად და ვენახებად, უხვმოსავლიან პურის ყანებად!

წყლის გაშვების წინ სამგორის ზემო მაგისტრალურ არხში

★

ჩვენი წვლილი მშვიდობის დაცვის საქმეში

მთავრდება ზემო მაგისტრალური არხის მშენებლობა. კიდევ რამდენიმე დღე, და ეს არხი თავისი რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობებით სავსებით მზად იქნება „თბილისის ზღვაში“ იორის წყლის გასატარებლად.

ჰიდრომშენებელთა წინაშე უკვე ისახება ახალი, მეტად პასუხსაგები ამოცანები. საქმე ის არის, რომ 1952 წლის გაზაფხულიდან იორის წყალმა უნდა მორწყოს სოფელ მარტყოფის ვრცელი საკოლმეურნეო მინდვრები. ამისათვის საჭიროა ზემო მაგისტრალური არხის მარცხენა მხარეზე გაყვანილ იქნას მე-10 და მე-11 განმანაწილებელი არხები, რომელთა საერთო სიგრძე 24 კილომეტრს აღემატება. გარდა ამისა, მომავალ წელსვე უნდა დამთავრდეს ლილო-მარტყოფის განმანაწილებელი არხის მშენებლობა ზემო მაგისტრალური არხის მარჯვენა მხარეზე.

ამ სამუშაოთა შესრულება ჩვენი უბნის კოლექტივს დაეკისრა.

უბნის კოლექტივი უკვე შეუდგა ლილო-მარტყოფის განმანაწილებელი არხის გაჭრას. ამ არხზე კოლექტივმა უნდა შეასრულოს 200 ათასი კუბმეტრი მიწის სამუშაოები. ამ დღეებში უბნის მოწინავე ბრიგადები დაიწყებენ მუშაობას აგრეთვე მე-10 და მე-11 განმანაწილებელი არხების გასაყვანად.

ამ დიდი მასშტაბის სამუშაოთა შესრულება მცირე დროში პრიმიტიული წესით, წერაქვით და ნიჩბით, ცხადია, შეუძლებელია. მაგრამ თანამედროვე სამშენებლო ტექნიკით, რომლითაც აღჭურვილია უბნის კოლექტივი, სამივე განმანაწილებელი არხის მშენებლობის დამთავრება დაწესებულ ვადებში სავსებით შესაძლებელია. საჭიროა მხოლოდ მაქსიმალური დატვირთვით ვამუშაოთ ყველა სამშენებლო მექანიზმი.

დღეისათვის უბანში საკმაო რაოდენობით მუშაობენ ექსკავატორები, ბულდოზერები და სკრეპერები. მომავალში მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება. შრომის სწორი ორგანიზაციით უბნის კოლექტივი აღწევს მექანიზმების შეუფერხებელ მუშაობას და დიდი გადაჭარბებით ასრულებს სადღეღამისო დავალებას.

მებულდოზერეებს, მესკრეპერეებსა და ექსკავატორის მემანქანეებს შორის გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება უკეთესი მაჩვენებლების მოსაპოვებლად. გეგმას ყველა მათგანი დიდი გადაჭარბებით ასრულებს, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან მებულდოზერე გ. ბანეთაშვილი, მესკრეპერე ო. ითოშვილი, ექსკავატორის მემანქანე გ. მეცხვარიშვილი, რომლებიც დავალებას სისტემატურად ორმაგად ანაღდებენ.

უბნის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს ვადამდე დაამთავროს განმანაწილებელი არხების მშენებლობა და ამით თავისი წვლილი შეიტანოს მშვიდობის განმტკიცებისა და სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი გადიდების საქმეში.

გ. შოშიაშვილი
სამგორწყალმშენის პირველი სამშენებლო კანტორის მეორე უბნის უფროსი

ვიბრძვით შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის

საქართველოს ყველა რაიონიდან ჩამოდიან მოხალისენი სამგორის უდაბნოს გაცოცხლების საშვილიშვილო საქმეში მონაწილეობის მისაღებად. მეც ერთ-ერთი ასეთი მოხალისე ვარ. წელს ჩამოვედი სოფელ მარტყოფიდან, სადაც დიდი ხნის განმავლობაში ტრაქტორისტად ვმუშაობდი. რამდენიმე დღეში შევისწავლე ბულდოზერის მართვა. მიზნად დავისახე მაღალნაყოფიერი შრომით ხელი შემეწყო მშენებლობის დაჩქარებისათვის. ისე დავხელოვნდი ბულდოზერზე მუშაობაში, რომ ახლა დავალებას ორმაგად და უფრო მეტად ვასრულებ. ამას წინათ დამავალეს მიწით დამეფარა ცოდვიანთხევის დიუკერის მილები. 8 დღეში დიუკერს 10 ათასი კუბმეტრი მიწა დავაყარე და გეგმა 225 პროცენტით შევასრულე.

შრომაში მაღალ ნაყოფიერებას იმით ვაღწევ, რომ თვალისჩინივით ვუვლი ბულდოზერს, რომელიც მუდამ სანიმუშო წესრიგში მაქვს.

სექტემბრის დასაწყისში მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე დავდექი და 2 თვეში 40 ათასი კუბმეტრი მიწის სამუშაოს შესრულება ვიკისრე. ამ ვალდებულების წარმატებით განაღდების მიზნით შეჯიბრებაში გამოვიწვიე ბულდოზერის მოწინავე მემანქანე მ. კაზნოვი. უკვე გადავზიდე 20 ათასი კუბმეტრი მიწა. მუშაობის ასეთ ტემპს შემდეგშიც შევინარჩუნებ და 1 ნოემბრისათვის ვალდებულების გადამეტებით ლილო-მარტყოფის განმანაწილებელი არხის ტრასზე ამოვთხრი და გადავიტან 10 ათას კუბმეტრ მიწას.

გ. ბანეთაშვილი
ბულდოზერის მემანქანე

★ ★

სამგორის მშენებელთა ღირსების საქმე

★

ა. გაბუნია
სამგორწყალმშენის უფროსი

★

ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება სამგორის ველის სარწყავ ოაზისად გადაქცევის შესახებ სულ მალე სინამდვილედ გადაიქცევა. უახლოეს წლებში სამგორის ზემო მაგისტრალური არხიდან მიღებული იორის წყალი სიცოცხლეს დაამკვიდრებს უხსოვარი დროიდან უნაყოფო მრავალ ათას ჰექტარ ფართობზე, აყვავებულ ბაღებად და ბოსტნებად, უხვმოსავლიან პურის ყანებად, საუცხოო საცხოვრებელ ადგილებად გადააქცევს მას. მკვეთრად გაიზრდება სახალხო დოვლათი, უფრო ბარაქიანი გახდება კოლმეურნის შრომა.

საქართველოს მშრომელთა წინაშე ამხანაგმა სტალინმა დასახა ამოცანა უახლოეს წლებში უზრუნველვყოთ ჩვენი რესპუბლიკა საკუთარი წარმოების მარცვლეულით. ამ საპატიო ამოცანის განხორციელების საქმეში, ულრესად დიდია სამგორის სარწყავი სისტემის მნიშვნელობა, ვინაიდან ეს სისტემა 41 ათას ჰექტარ უხვმოსავლიან სარწყავ ფართობს შესძენს რესპუბლიკას.

მაგრამ მარტო სარწყავი ფართობის გადიდებით როდი ამოიწურება სამგორის მნიშვნელობა. იგი მკვეთრად გააუმჯობესებს რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისის და მისი მიდამოების ჰავას, შესაძლებლობას მოგვცემს დედაქალაქის მომიჯნავე მიწებზე გავაშენოთ ტყე, ავაგოთ დიდი წყალსატევები. მწვანით დაიფარება თბილისის გარეუბნები, ხოლო თვით წყალსაცავი, რომელსაც ხალხმა უკვე „თბილისის ზღვა“ უწოდა, ერთ-ერთი საუკეთესო დასასვენებელი ადგილი გახდება დედაქალაქის მშრომელთათვის.

ამიტომ უყვარს ხალხს სამგორი. ამიტომ მონაწილეობს მის მშენებლობაში მთელი საქართველო. „სამგორი,—თქვა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე, — სახალხო მშენებლობაა. ყველა რაიონის კოლმეურნეობებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა საქართველოს ამ უმნიშვნელოვანესი სარწყავი სისტემის აგებაში“.

საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამ მოწოდებას ერთსულოვნად გამოეხმაურნენ საქართველოს ყველა კუთხის მშრომელნი. სამგორში სამუშაოდ წამოსვლის სურვილი განაცხადეს არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების კოლმეურნეებმა, არამედ დასავლეთ საქართველოს ისეთი რაიონების მშრომელებმაც, სადაც შრომატევადი ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურები მოჰყავთ და მუშახელზე დიდი მოთხოვნილებაა.

ფასდაუდებელია სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობისათვის საქართველოს კოლმეურნეების მიერ გაწეული შრომა. მარტო შარშან სამგორის მშენებლობაში მონაწილეობას იღებდნენ რესპუბლიკის 25 რაიონის კოლმეურნეობები—მრავალი ათასი კოლმეურნე. ყველა ისინი პირნათლად ასრულებდნენ მათთვის მიჩენილ სამუშაოს. განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად იმუშავეს შარშან სიღნაღის, გურჯაანის, ქუთაისის, ქარელის, მცხეთის, ორჯონიკიძის, ხაშურის, ბოლნისის, საჩხერის და გარეუბნის რაიონებიდან ჩამოსულმა კოლმეურნეებმა. მნიშვნელოვანწილად კოლმეურნეთა თავდადებულ შრომას უნდა მიეწეროს, რომ სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლებმა შარშან წარმატებით შეასრულეს გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები.

წელს სამგორის მშენებელთა წინაშე დასახულია ფრიად საპატიო ამოცანა: მათ უნდა უზრუნველყონ წყლის მოკლე ხანში გაშვება თბილისის წყალსაცავში. ამ ამოცანის შესრულებისაკენ არის ახლა მიმართული სამგორის სარწყავი სისტემის მშენებელთა მთელი კოლექტივის ყურადღება.

რა მდგომარეობაა ახლა მშენებლობაზე?

ძირითადი ობიექტები, საითკენაც მიპყრობილია მშენებელთა განსაკუთრებული ყურადღება, არის სამგორის ზემო მაგისტრალური არხი და თბილისის წყალსაცავი. ამ ორი ობიექტის სავსებით დამთავრება მოგვცემს თბილისის წყალსაცავში წყლის გაშვების შესაძლებლობას.

სულ მოკლე დროში დამთავრდება ამ არხის უკანასკნელი ასეული მეტრების დაბეტონება. გაცხოველებით მიმდინარეობს უკანასკნელი სამუშაოები არხის ჰიდროტექნიკური ნაგებობების—დიუკერების, აკვედუკების, გვირაბების საბოლოოდ გასამზადებლად.

თბილისის წყალსაცავში მიმდინარეობს სამუშაოები შემაერთებელი არხის გასაჭრელად და სხვა ნაგებობათა წყლის მიღებისათვის გასამზადებლად.

როგორც კი ეს ორივე ობიექტი საბოლოოდ გამზადდება, მშენებელთა პირველი ამოცანა შესრულებული იქნება.

პირველი რიგის სამუშაოა აგრეთვე სარწყავი ქსელის აგება იმ ანგარიშით, რომ მომავალი წლიდან ამ ქსელის საშუალებით მოვრწყოთ 5 ათასი ჰექტარი ფართობი თბილისის გარეუბნისა და საგარეჯოს რაიონებში.

ამავე დროს გაცხოველებით ვემზადებით ლილო-მარტყოფის არხის სამშენებლო სამუშაოების ფართოდ გაშლისათვის. იმ პერიოდისათვის, როდესაც აღნიშნული წყალსაცავი წყლით აივსება, მზად უნდა იყოს ქვემო მაგისტრალური არხი, რომელიც დიდი და რთული ნაგებობაა.

ამჟამად მუშაობა წარმოებს ქვემო მაგისტრალურ არხზეც.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად სამგორწყალმშენი მომარაგებულია უახლესი სამშენებლო ტექნიკით. მშენებლობას დიდი რაოდენობით აქვს ექსკავატორები, ბულდოზერები, სკრეპერები, თვითდამცლელი მანქანები, ტრაქტორზე მისაბმელი მიწისსაყრელი მოწყობილობა. ეს ძლევამოსილი საბჭოთა ტექნიკა მკვეთრად აჩქარებს სამუშაოთა შესრულებას.

საქართველოს კოლმეურნეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სამგორის მშენებლობას აქტიური დახმარება გაუწიეს არა მარტო მიწის სამუშაოების დიდი რაოდენობით შესრულების საქმეში, არამედ კვალიფიციური მუშახელის აღზრდაშიც. სამგორის მშენებელ მუდმივ კვალიფიციურ მუშათა აბსოლუტური უმრავლესობა გუშინდელი კოლმეურნეებია, რომლებიც აქ დროებით ჩამოვიდნენ სამუშაოდ და მშენებლობის დამთავრებამდე დარჩენის სურვილი გამოთქვეს. ეს გუშინდელი კოლმეურნეები საუკეთესოდ დაეუფლნენ მებეტონის, დურგლის პროფესიებს, ექსკავატორის, ბულდოზერის, სკრეპერის და სხვა რთული ტექნიკის მართვას.

მთელ მშენებლობაზე ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. უბანი უბანს ეჯიბრება, ბრიგადა ბრიგადას, მშენებელი მშენებელს. შეჯიბრებაში გამარჯვებული უბნისა და ბრიგადისათვის დაწესებულია გარდამავალი დროშები.

მშენებლობის ათობით ბრიგადამ და ასობით სტახანოველმა გაითქვა სახელი მაღალნაყოფიერი შრომით, სამუშაოთა მაღალხარისხოვნად შესრულებით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნ. მერაბიშვილის მებეტონეთა ბრიგადა, რომელიც ფლობს სამგორწყალმშენისა და სამშენებლო კომიტეტის გარდამავალ დროშას. მოწინავეთა რიგებში არიან პირველ სამშენებლო უბანზე ქ. გუცაშვილის, მეორე უბანზე ვ. დრიაშვილის, მეოთხე უბანზე ლეონოვის, მეექვსე უბანზე პილტოიანის მებეტონეთა ბრიგადები; მეექსკავატორეთა მეცხვარიშვილის, კლიმენკოს და კორკოტაძის ბრიგადები; სკრეპერებზე მომუშავენი თუშიშვილი და მონადირაშვილი; გრეიდერისტები ყარყარაშვილი და მაძღარაშვილი; დურგალთა ქელდიშვილის, ისაგულოვის და ზიბიროვის ბრიგადები.

ყველა ზემოაღნიშნული ბრიგადა და სტახანოველი პროფესიების საფუძვლიანად დაუფლებით გამომუშავების დღიურ ნორმებს ორმაგად და უფრო მეტად ასრულებს.

ამ მოწინავე ბრიგადებისა და სტახანოველების, აგრეთვე მშენებლობაზე მომუშავე ინჟინერ-ტექნიკოსთა თავდადებული შრომის შედეგად, სამგორის მშენებელთა კოლექტივი მიმდინარე წლის მეორე კვარტალში გამარჯვებული გამოვიდა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მას მიეკუთვნა საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია. უბნებს შორის გაჩაღებულ შეჯიბრებაში გაიმარჯვა მეექვსე უბნის კოლექტივმა (უფროსი ნ. გოჩიაშვილი), რომელსაც გადაეცა სამგორწყალმშენის და სამშენებლო კომიტეტის გარდამავალი დროშა.

სამგორის მშენებლობაზე მეტად მნიშვნელოვან სამუშაოებს ასრულებს საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტის კოლექტივი. ამ სახელმოხვეჭილი ტრესტის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები თავიანთ ცოდნასა და ენერგიას არ იშურებენ იმისათვის, რომ შეასრულონ პარტიისა და მთავრობის დავალება.

სამგორის მშენებელთა მთელი კოლექტივი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის დაწყების შესახებ. ყველა უბანზე მოეწყო კრებები. ათობით აგიტატორმა გააცნო მშენებლებს მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება.

სამგორის მშენებელმა მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა პირობა დადეს, რომ უფრო გააძლიერებენ მუშაობას, მოიპოვებენ მეტ წარმატებას, უზრუნველყოფენ მშენებლობის ვადამდე დამთავრებას.

გაჩაღებულია მუშაობა სამგორის სარწყავი სისტემის მუდმივი კადრების საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის. მარტო წელს საბინაო-საყოფაცხოვრებო მშენებლობას სამი მილიონი მანეთი მოხმარდება.

სამგორის სარწყავი სისტემის მშენებელთა კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ დროულად უზრუნველყოს წყლის გაშვება თბილისის წყალსაცავში, მომავალი წლიდან იორის წყლით მოირწყოს სამგორის ველის პირველი ათასი ჰექტარები, ხოლო შემდგომ წლებში რესპუბლიკას შეემატოს ათეულ ათასობით ჰექტარი უხვმოსავლიანი სარწყავი ფართობი. ამის გარანტიაა სამგორის მშენებელთა თავდადებული შრომა. ამის გარანტიაა ის უდიდესი დახმარება და ყოველდღიური ხელმძღვანელობა, რასაც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო უწევენ სამგორის მშენებელთა კოლექტივს.

★

ვამაყობთ სამგორში მუშაობით

სამგორში პირველად ამ ოთხი წლის წინათ ჩამოვედი. ჩემმა თანასოფლელებმა — სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოს კოლმეურნეებმა გულთბილად გამომაცილეს და მუშაობაში წარმატება მისურვეს.

მაშინ არავითარი პროფესია არ მქონდა. მებეტონეობის შესწავლა გადავწყვიტე. არა მარტო დავეუფლე ამ პროფესიას, არამედ მებეტონეთა ბრიგადირობასაც მივაღწიე და ახლა ახალგაზრდა მუშებსაც ვზრდი, გადავცემ ჩემს გამოცდილებას.

ზემო სამგორის მაგისტრალური არხის მშენებლობა მთავრდება. უდიდეს სიხარულსა და პატრიოტულ სიამაყეს მგვრის იმის შეგნება, რომ ამ არხის დაბეტონებაში ჩემი ბრიგადის წევრებსაც მიუძღვით წვლილი. არასოდეს არ დაივიწყებენ ამ საშვილიშვილო, კეთილშობილურ საქმეს ჩემი ბრიგადის წარჩინებული მებეტონეები დავით ქურციკაშვილი, ვალერიან ბეიტრიშვილი, კობა ბიბილაშვილი, მიხა ჭონქაძე და სხვები. მათთან ერთად ვმუშაობ და ვხარობ ჩვენი შრომის ნაყოფით. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ სამგორის მშენებლები ვართ.

მას შემდეგ, რაც წელს მეორე კვარტალში მშენებლობის სამმართველოს გარდამავალი დროშა მოვიპოვეთ, უფრო გავაძლიერეთ მუშაობა. სექტემბერში ჩემმა ბრიგადამ მიიღო დავალება 300 მეტრის სიგრძეზე დაებეტონებინა ზემო მაგისტრალური არხი. ჩვენ ვალდებულება ვიკისრეთ ეს სამუშაო 25 სექტემბრისათვის დაგვემთავრებინა, სინამდვილეში კი 24 სექტემბრისათვის დავამთავრეთ.

ამჟამად ჩვენი ბრიგადა მუშაობს იქ, სადაც არხის მეორე რიგის ბეტონია დასაგები. დავალებული გვაქვს რკინა-ბეტონის სამუშაო პირველი ოქტომბრისათვის დავასრულოთ, ბრიგადის წევრებმა კი გადაწყვიტეს 28 სექტემბრისათვის ყველაფერი მოათავონ. ამ ვალდებულებასაც ვადამდე და მაღალხარისხოვნად გავანაღდებთ.

სამგორის მშენებლობა სახალხო მშენებლობაა. იგი განკუთვნილია ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის. ამ შეგნებით შრომობენ ჩემი ბრიგადის წევრები, რომლებიც ჩამოსული არიან დუშეთის, თელავის, კასპის, სიღნაღის და სხვა რაიონების კოლმეურნეობებიდან. მათი თავდადებული შრომა იმის საწინდარია, რომ მომავალშიც შევინარჩუნებთ გარდამავალ დროშას.

ნ. მერაბიშვილი
წარჩინებული მებეტონე

დურგალთა და მებეტონეთა შეჯიბრება

ჩემი ბრიგადის დურგლებმა დიდი გამოცდილება შეიძინეს მარტყოფის დიუკერის მშენებლობაზე. როცა ბრიგადის წინაშე დასახული ამოცანა პირნათლად შევასრულეთ, ნორიოს დიუკერის მშენებლობაში მონაწილეობის მიღება დაგვავალეს. დიუკერის რკინა-ბეტონის პირველი მილი დამთავრებულია და მზად არის იორის წყლის მისაღებად. ამჟამად დურგლები მებეტონეებთან და მეარმატურეებთან ხელიხელჩაკიდებული იბრძვიან დიუკერის მეორე მილის დროზე და მაღალხარისხოვნად დამთავრებისათვის.

დურგალთა ბრიგადის წინაშე დგას ამოცანა—დაამზადოს ქარგილები დიუკერის მილისათვის. ეს მეტად რთული და პასუხსაგები საქმეა. თუ ქარგილები მზად არ არის, ბეტონის სამუშაოები შეფერხდება. ამიტომ ქარგილის დამზადება ისე უნდა მოეწყოს, რომ მებეტონეები ერთ წუთსაც არ გაცდნენ, დროზე დააბეტონონ მილი.

ბრიგადისათვის დაკისრებული საპატიო ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად გადავწყვიტეთ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოგვეწვია ჩვენს მეზობლად მომუშავე მებეტონეთა ბრიგადა, რომელსაც სათავეში უდგას ვლადიმერ კიკნაძე. ვიკისრეთ კონკრეტული ვალდებულებანი, გავშალეთ ბრძოლა მათი შესრულებისათვის. კარგი შედეგიც გვაქვს. თუ დღეში სამი დურგალი ერთი მეტრის სიგრძეზე უნდა აკეთებდეს ქარგილს, ფაქტიურად ორ და ზოგჯერ სამ მეტრზეც აკეთებს.

ამ წარმატებას ვაღწევთ იმით, რომ ბრიგადის წევრებს ყოველთვის წინდაწინ ვუნაწილებთ სამუშაოს, თვითეულმა მათგანმა წინა დღით იცის, თუ რა უნდა გააკეთოს მეორე დღეს. მუშაობაში ხელს ისიც გვიწყობს, რომ საჭირო მასალებით უზრუნველყოფილი ვართ. ბრიგადა თავის წარმატებას უმადლის ისეთ გამოცდილ დურგლებს, როგორიც არიან ჩ. მიქაბაძე, ნ. გაგნიძე, შ. ოსიპოვი, ლ. ოსიაშვილი და სხვები.

მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმის რეზოლუციას მხურვალედ გამოეხმაურნენ სამგორელი მშენებლები, მათ შორის ჩემი ბრიგადის წევრები. ჩვენ გვსურს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერა ახალი შრომითი მიღწევებით აღვნიშნოთ.

მ. თიკანაშვილი
დურგალთა ბრიგადის ხელმძღვანელი

★ ★



სამგორის სარწყავი არხის მშენებლობა. სურათზე: უკანასკნელი სამუშაოები თეთრიხევის აკვედუკის წყალსაშვები რაბის დასამონტაჟებლად.



სამგორი. დაკვრითი ტემპით მიმდინარეობს ნორიოსხევის დიუკერის მშენებლობა. რკინაბეტონის ერთი მილი სავსებით მზად არის იორის წყლის მისაღებად. მშენებლები ამთავრებენ მეორე მილის დაბეტონებას. სურათზე: დიუკერის მშენებლობა.

ფოტო რ. ეკოფოვისა



დამთავრდა ზემოსამგორის მაგისტრალურ არხზე პირველი გვირაბის მომზადება იორის წყლის მისაღებად. სურათზე: პირველი გვირაბის ხედი.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 24 სექტემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ ყველა ფრონტზე კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით გააფთრებულ ბრძოლებს ეწევიან მტრის წინააღმდეგ და დიდ ზარალს აყენებენ მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ცენტრალურ და აღმოსავლეთის ფრონტებზე სახალხო არმიის შენაერთები, წარმატებით იგერიებდნენ მტრის გააფთრებულ იერიშებს.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 11 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ფხენიანის, ნამფხოს, ვონსანის, სარივონის, ხვანჯუს, სოხონისა და სინჩხონის მხეცურ დაბომბვაში.

ჩინური გაზეთი ჩინეთის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული გეგმების შესახებ

პეკინი, 24 სექტემბერი. (საკდესი). დღეს გაზეთი „ჟენმინჟიბაო" აქვეყნებს თავისი კორესპონდენტის ცნობას კორეის ფრონტიდან. ცნობაში ნათქვამია, რომ 9 სექტემბერს 9 საათსა და 05 წუთზე კორეაში სუნჩუნის რაიონში ჩინელ მოხალისეთა საზენიტო ნაწილებმა ჩამოაგდეს ამერიკის ავიაგამანადგურებელი „51". მფრინავი—ვაშინგტონის შტატის მცხოვრები, უფროსი ლეიტენანტი ორვალ პ. ტენდი, 30 წლისა, დაეშვა პარაშუტით და წამოყვანილ იქნა ტყვედ.

სხვა ნივთებს შორის ამერიკელ მფრინავს აღმოაჩნდა ჩინეთის პატარა, სპეციალურად ამერიკის ავიაციისათვის გადაღებული ორმხრივი რუკა. ამ რუკის ერთ მხარეზე აღნიშნულია რაიონი, რომლის ცენტრშია მუკდენი, მეორე მხარეზე—ქეხეს პროვინცია და რაიონები, რომლებიც მას აკრავს. გაზეთმა მოათავსა ზემოხსენებული სამხედრო რუკის ორი ფოტოსურათი.

ეს რუკა, წერს გაზეთი, ცხადყოფს, რომ ამერიკის ავიაციის მიერ ჩინეთის საჰაერო საზღვრების სისტემატური დარღვევა სრულიადაც არ არის საზღვრების ადგილმდებარეობის გარკვევაში „შეცდომის" შედეგი ან იმის შედეგი, რომ „მფრინავს გზა აებნა". ეს რუკა გვიჩვენებს, რომ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალები მათ მიერ ჩინეთის ტერიტორიაზე მოხდენილი, წინასწარ მოფიქრებული თავდასხმების გარდა აპირებდნენ აგრეთვე მუკდენისა და ქეხეს რაიონებზე იერიშების მიტანას.

ამერიკელ ჯარისკაცებს არა სურთ იომონ კორეაში

ფხენიანი, 24 სექტემბერი. (საკდესი). კორეის ცენტრალურმა დეპეშათა სააგენტომ გუშინ გადმოსცა ცნობა, რომ კესონის მოლაპარაკების გაჭიანურებასთან დაკავშირებით, აგრეთვე ომის შავბნელ პერსპექტივებთან დაკავშირებით დაეცა ეგრეთწოდებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების ჯარისკაცთა და ოფიცერთა საბრძოლო სულისკვეთება.

ამას წინათ, ნათქვამია ცნობაში, აღმოსავლეთ ფრონტზე ტყვედ დაგვნებდა მე-8 არმიის მე-2 დივიზიის 38-ე პოლკის მეორე ბატალიონის 40 ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი ასეულის უფროსის მეთაურობით. ყველა ისინი ერთხმად აცხადებენ, რომ ტყვედ დანებდნენ, რადგან კორეაში წარმოებულ ომს ბოლო არ უჩანს, კესონის მოლაპარაკების გაჭიანურებამ კი მხოლოდ დააჩქარა ტყვედ დანებების უკვე დიდი ხნიდან მომწიფებული გადაწყვეტილება.

„ფ" ასეულის მეორე ათეულის მეთაური ამბობს: „მე და ჩემმა მეგობრებმა ტყვედ დანებება გადავწყვიტეთ იმიტომ, რომ ყოველდღე ველოდით სიკვდილს, ამასთან უაზრო და სამარცხვინო სიკვდილს. როცა შევიტყვეთ, რომ კესონის მოლაპარაკება მხოლოდ ამერიკის მთავრობის მანევრი იყო, რომელიც სარდლობას დასჭირდა, რათა სული მოეთქვა და ახალი შეტევისა და ომის გაფართოებისათვის მომზადებულიყო, უყოყმანოდ გადავწყვიტეთ ტყვედ დანებება.

მე მსურს, თქვა ტყვემ, გულითადი მადლობა მოვახსენო ჩრდილოეთ კორეის ხელისუფალთ სამხედრო ტყვეებზე ზრუნვისათვის. ჩემი სურვილია აგრეთვე გადავცე ნათესავებს, ნაცნობებსა და თანამემამულეებს ქალაქ პომონში (კალიფორნიის შტატი), რომ არც ერთმა მათგანმა არ გამოსცადოს ისეთი სისულელე, როგორიც მე ჩავიდინე კორეაში წამოსვლით. რაც უნდა მოხდეს, ჩვენი მდგომარეობა კორეაში უიმედოა"!

დასავლეთის სახელმწიფოთა ჯარების მანევრები დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 24 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დასავლეთ გერმანიაში დამთავრდა დასავლეთის სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების დიდი საშემოდგომო მანევრები.

მანევრები წარმოებდა 10 დღის განმავლობაში გერმანიის ოკუპაციის ინგლისურ ზონაში ჰანოვერ-ბრემენის რაიონში. მანევრებში მონაწილეობას იღებდა შვიდი სახელმწიფოს: ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, დანიის, ნორვეგიისა და ბელგიის 150 ათასი ჯარისკაცი, აგრეთვე ორი ჯავშანსატანკო დივიზია და 300-ზე მეტი თვითმფრინავი.

ამ მანევრებში მონაწილეობას იღებდნენ გერმანიის სამხედრო ძალები, რომელთა აღდგენაც [illegible]

ამერიკის კარნახით

[illegible]

ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და საბჭოთა კულტურის ერთთვიური

სოფია, 24 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და საბჭოთა კულტურის ერთთვიურის დღეებში მთელ ბულგარეთში ეწყობა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებათა წევრების მასობრივი შეკრებანი.

გუშინ გაიმართა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებათა წევრების შეკრება ქალაქ სტალინში. შეკრებაში მონაწილეობა მიიღეს შრომითი კოოპერაციულ-სამიწათმოქმედო მეურნეობების ათასობით წევრმა, ახლომახლო სოფლების ერთპიროვნულმა გლეხებმა და ქალაქის მშრომელებმა.

საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის მეთაურის აკადემიკოს ა. ვ. პალადინისა და დელეგაციის წევრების გამოჩენას მქუხარე ოვაციით შეხვდნენ. საბჭოთა ხალხის სახელით მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს აკადემიკოსმა ა. ვ. პალადინმა, ალექსანდრე ჩუტკიხმა და ვასილ კოროლიოვმა.

შეკრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი დეპეშები ამხანაგ სტალინისადმი და ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ვილკო ჩერვენკოვისადმი.

ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებათა წევრების შეკრებანი გაიმართა აგრეთვე ბულგარეთის სხვა ქალაქებში.

გამალებული შეიარაღების პოლიტიკა გაღატაკებას იწვევს

ლონდონი, 24 სექტემბერი. (საკდესი). ინგლისის მთავრობა და ინგლისის ბურჟუაზიული პრესა იძულებული არიან აღიარონ, რომ ინგლისი ნედლეულის უდიდეს კრიზისს განიცდის. გამალებული შეიარაღების შედეგები საგრძნობია ინგლისის ცხოვრების ყველა დარგში. ინგლისის მრეწველობა დამოკიდებულია ნედლეულის იმპორტზე, ხოლო ამჟამად ინგლისის საგარეო ვაჭრობის საქმეები იმდენად ცუდია, რომ მას ძალა არ შესწევს დააკმაყოფილოს მრეწველობის მოთხოვნილება ნედლეულზე. ინგლისის საგარეო ვაჭრობის ბალანსის დეფიციტი განუწყვეტლივ იზრდება. ინგლისის ვაჭრობის მინისტრის შოუკროსის განცხადებით, მარტო მიმდინარე წლის პირველი შვიდი თვის განმავლობაში ინგლისმა შემოიტანა 679 მილიონი გირვანქა სტერლინგით მეტი ღირებულების საქონელი, ვიდრე გაიტანა.

გარდა ამისა, ამერიკელი მონოპოლისტები ხელში იგდებენ ინგლისის ნედლეულის წყაროებს, რაც იწვევს უმნიშვნელოვანესი სახის ნედლეულის ინგლისისათვის მიწოდების შემცირებას. მაგალითად, 1951 წლის პირველ კვარტალში ინგლისმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიიღო 20 პროცენტით ნაკლები გოგირდი, ვიდრე მის მრეწველობას მინიმალურად ესაჭიროებოდა. ცნობილია, რომ მთელი გოგირდის თითქმის 90 პროცენტს ინგლისი ამერიკის შეერთებული შტატებიდან იღებს.

მკვეთრად შემცირდა მრეწველობისათვის საჭირო უმნიშვნელოვანესი სახის ნედლეულის მარაგის რაოდენობა. გაზეთ „დეილი ექსპრესის" ცნობებით, ამ მდგომარეობას ახასიათებს შემდეგი შედარებითი ცნობები.

	მარაგი 1945 წელს	მარაგი 1950 წ. დამლევისათვის	მარაგი 1951 წლის პირველი კვარტალის დამლევისათვის
სპილენძი	14 თვისა	5 თვისა	3 თვისა
კალა	16 „	9 „	5 „
თუთია	9 „	15 კვირისა	7,5 კვირისა
კაუჩუკი	22 „	11 „	6,5 „
მატყლი	16,5 „	6 თვისა	4 თვისა
ბამბა	16 „	7,5 „	—

ინგლისში საგრძნობია აგრეთვე ნიკელის, ვოლფრამისა და მოლიბდენის მწვავე ნაკლებობა და, მაშასადამე, ლეგირებული ფოლადის ნაკლებობაც. მოლიბდენის მიწოდება, რა მხრივაც ინგლისი მთლიანად დამოკიდებულია შეერთებულ შტატებზე, ახლა 1950 წლის დონეზე გაცილებით ნაკლებია.

განსაკუთრებით სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა შავი მეტალურგიის დარგში. საგრძნობია ლითონის ჯართის მწვავე ნაკლებობა, რაც ინგლისს წინათ დასავლეთ გერმანიიდან შემოჰქონდა. ამჟამად ამერიკელებმა ნედლეულის ეს წყაროც ხელში ჩაიგდეს. ამის შედეგად დასავლეთ გერმანიიდან ლითონის ჯართის მიღება 1950 წელთან შედარებით 75 პროცენტით შემცირდა.

ყოველთვიური სტატისტიკური კრებული „დაიჯესტ ოფ სტატისტიკი" ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ნედლეულის ნაკლებობასთან დაკავშირებით ჩაქრება მრავალი ბრძმედი და რომ შავი ლითონების წარმოების დონე 1951 წელს ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში არსებულ ყველაზე დაბალ დონეზე გაცილებით უფრო დაბალი იქნება.

ფოლადის ნაკლებობა იმას იწვევს, რომ ინგლისის მთავრობა ცდილობს ფასების გადიდების საშუალებით დააწესოს ამ ლითონის განაწილების თავისებური სისტემა. მიმდინარე წლის აგვისტოში ინგლისის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება რკინისა და ფოლადის ფასების 20-25 პროცენტით გადიდების შესახებ. ინგლისის ბურჟუაზიული პრესა იძულებულია აღიაროს, რომ ფასების ახალი გადიდება სერიოზულ გავლენას მოახდენს ინგლისის ეკონომიკაზე. გაზეთი „ეშპაირ ნიუსი" წერდა, რომ ეს გადაწყვეტილება „ეხება ყოველ სახლსა და ყოველ ჯიბეს, გავლენას მოახდენს გადასახადით დაბეგვრაზე, ტრანსპორტით მოგზაურობის ფასსა და ტვირთების გადაზიდვაზე, კაპიტალურ ხარჯებზე, ექსპორტსა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოებაზე. ფასების ეს გადიდება ხელს შეუწყობს საშინაო და საგარეო ვაჭრობის ბალანსის დარღვევას უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე ღონისძიება ომის შემდეგ".

ვაჭრობის მინისტრმა შოუკროსმა გაზეთ „ნიუს ქრონიკლის" კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში აღიარა, რომ ერთი წლის განმავლობაში—1950 წლის ივნისიდან 1951 წლის ივნისამდე—ინგლისში ცხოვრება გაძვირდა 25 პროცენტით, და გამოთქვა ვარაუდი, რომ მიმდინარე წლის დამლევს კვების პროდუქტებისა და ფართო მოხმარების საქონლის ფასები კიდევ უფრო გაიზრდება.

ინგლისის მთავრობა სისტემატურად იუწყება ამა თუ იმ საქონლის ფასების გადიდების შესახებ. 30 აგვისტოს გაზეთმა „დეილი ექსპრესმა" გამოაქვეყნა თავისებური კალენდარი. იგი საინტერესოა იმით, რომ მასში თითქმის ყოველი დღე აღნიშნულია ამა თუ იმ საქონლის ფასების გადიდებით.

მაშინ, როცა ფასები მატულობს, მსხვილი კაპიტალისტების მოგება განუწყვეტლივ იზრდება. 1951 წელს ინგლისის 1.700 სამრეწველო ფირმამ გამოაქვეყნა ცნობები თავიანთი მოგების შესახებ. ამ ცნობების თანახმად, მათი მოგება 1950-51 წლის მანძილზე 640 მილიონი გირვანქა სტერლინგიდან 783 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე გაიზარდა.

ჩაიფუშა კონფერენცია ცენტრალური აფრიკის ფედერაციის შექმნის საკითხზე

ლონდონი, 23 სექტემბერი. (საკდესი). ვიქტორია-ფოლსის (სამხრეთი როდეზია) კონფერენციამ, რომელიც მოწვეულ იქნა სამხრეთ როდეზიის, ჩრდილოეთ როდეზიისა და ნიასალენდის ფედერაციის შექმნის საკითხის განსახილველად, მუშაობა შეწყვიტა. (ჩრდილოეთ როდეზია და ნიასალენდი ინგლისის კოლონიებია, რომლებსაც ინგლისელი გუბერნატორები განაგებენ. სამხრეთ როდეზიასაც ინგლისელი გუბერნატორი განაგებს, მაგრამ სამხრეთ როდეზიას ჰყავს მთავრობა და პარლამენტი, რომელსაც თეთრკანიანი მოსახლეობა ირჩევს. აღნიშნული ტერიტორიების გაერთიანება ნიშნავს, რომ ხელმძღვანელი როლი განზრახულ ფედერაციაში ექნებოდა სამხრეთ როდეზიას, რასაც მოჰყვებოდა სამხრეთ როდეზიის ანტიზანგური კანონმდებლობის შემოღება ნიასალენდსა და ჩრდილოეთ როდეზიაში).

ფედერაციის შექმნის გეგმა ჩრდილოეთ როდეზიის, ნიასალენდისა და სამხრეთ როდეზიის თანამდებობის პირების მიერ შედგენილი მოხსენების სახით გამოქვეყნდა 1951 წლის 14 ივნისს.

იძლეოდა რა ამ გეგმის კომენტარს, გაზეთი „დეილი უორკერი" წერდა, რომ ფედერაციის შექმნის პროექტი ცენტრალური აფრიკის რეაქციონერთა ქმნილებაა, რომლებიც ცდილობენ მიიღონ ზანგი მუშების შეუზღუდველი ექსპლოატაციის შესაძლებლობა. გეგმის თანახმად, ფედერაციაში მთელი ხელისუფლება ევროპე-[illegible]ბული ტერიტორიების ზანგი მოსახლეობის უდიდესი პროტესტი გამოიწვია.

ჩრდილოეთ როდეზიაში შეიქმნა ცენტრალური აფრიკის ტერიტორიების ფედერაციის შექმნის წინააღმდეგ მოქმედების კომიტეტი. ნიასალენდის სტუდენტთა ასოციაციამ გამოუშვა მოწოდება—მოწვეულ იქნას როდეზიის აფრიკის კონგრესისა (ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ზანგთა თითქმის ყველა პროფკავშირს და საზოგადოებრივ ორგანიზაციას) და ნიასალენდის აფრიკის კონგრესის წარმომადგენელთა გაერთიანებული კონფერენცია. ინგლისის მთავრობის სახელზე გაიგზავნა ათობით საპროტესტო რეზოლუცია ფედერაციის შექმნის წინააღმდეგ.

ხალხის მტკიცე წინააღმდეგობის გამო ინგლისის მმართველმა წრეებმა განგაში ატეხეს. გადაწყდა აფრიკაში გაეგზავნათ კოლონიათა მინისტრი გრიფიტსი და „ერების თანამეგობრობის" საქმეთა მინისტრი გორდონ-უოკერი. მაგრამ, მიუხედავად მთელი მათი მეცადინეობისა, აფრიკის ზანგი მოსახლეობა ბრძოლას განაგრძობდა. ზანგები მოითხოვდნენ, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელ საბჭოებში მოსახლეობის რიცხვის პროპორციულად იყოს წარმოდგენილი მკვიდრი მოსახლეობა, დაუყოვნებლივ განხორციელდეს საყოველთაო საარჩევნო უფლება, ნაციონალიზებულ იქნას მრეწველობის ყველა დარგი და აიკრძალოს ყველა სახის დისკრიმინაცია.

[illegible]

საერთაშორისო შეთანხმებათა დარღვევის გზით

[illegible]

დასავლეთ გერმანიის პოლიციის თვითნებობა

[illegible]

საფრანგეთის კანტონალური არჩევნების წინ

ჟაკ დიუკლოს გამოსვლა მარსელში

პარიზი, 24 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, რომ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მდივანმა ჟაკ დიუკლომ, დაიწყო რა კომპარტიის საარჩევნო კამპანია, გუშინ სიტყვა წარმოთქვა მარსელში მასობრივ მიტინგზე, რომელსაც 20 ათასი კაცი დაესწრო.

დიუკლომ მოუწოდა ყველა კეთილი ნების ფრანგს ერთიანობისაკენ და საფრანგეთის ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მოქმედებისაკენ. მან აღნიშნა, რომ ყველა ქვეყანასთან ნორმალური სავაჭრო ურთიერთობის პოლიტიკა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, როგორც ეს სურს და როგორც ამას მოითხოვს საბჭოთა კავშირი, საფრანგეთის ინტერესების შესაბამისი იქნებოდა, საფრანგეთისა, რომელსაც ულირსი მთავრობები ამერიკის პროტექტორატად აქცევენ.

ჟაკ დიუკლომ მოუწოდა, კანტონალური არჩევნები საფრანგეთის გამარჯვებად, მშვიდობის რესპუბლიკის გამარჯვებად გადავაქციოთო.

სახალხო განათლების მძიმე მდგომარეობა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 24 სექტემბერი. (საკდესი). მაშინ როცა სამხედრო ხარჯები ამერიკის შეერთებულ შტატებში წლითიწლობით იზრდება, სახალხო განათლების ხარჯები წლითიწლობით მცირდება.

ამას წინათ გაზეთმა „დეილი უორკერმა" გამოაქვეყნა განათლების ეროვნული ასოციაციის მოხსენება 1950-51 სასწავლო წლისათვის.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 1951-52 საბიუჯეტო წელს დასახულია სახალხო განათლების ასიგნობათა შემდგომი შემცირება ამერიკის შეერთებულ შტატებში გასულ საბიუჯეტო წელთან შედარებით, თუმცა, როგორც ამერიკის პრესა იუწყება, 1950-51 წელს განათლების ასიგნობანი შეადგენდნენ ყველა საბიუჯეტო ასიგნობის მხოლოდ 1 პროცენტს, ამასთან სინამდვილეში ამ სახსრების მხოლოდ $^1/_5$ ნაწილზე ნაკლები დაიხარჯა განათლებაზე.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ სასკოლო შენობებისა და მასწავლებლების ნაკლებობის გამო 1950-51 სასწავლო წელს სკოლებში სიარული ვერ შეძლო 4 მილიონმა მოსწავლემ.

ეიზენჰაუერი საზარბაზნე ხორცს მოითხოვს

ნიუ-იორკი, 25 სექტემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ჩიკაგო სან ენდ ტაიმსი" იუწყება, გენერალმა ეიზენჰაუერმა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოს სესიისაგან, რომელიც ამას წინათ მიმდინარეობდა ოტავაში, მოითხოვა, რათა ამ კავშირის მონაწილე 12 ქვეყანამ მოამზადოს და გამოიყვანოს თითქმის 100 დივიზია 1.200 ათასი კაცის საერთო რაოდენობით.

„იუწყებიან, რომ ეიზენჰაუერის რეკომენდაციებმა გააოცა ევროპის ქვეყნების ზოგიერთი თავდაცვის მინისტრი და ფინანსთა მინისტრი, რომლებიც საბჭოს სესიას ესწრებოდნენ ოტავაში,—წერს გაზეთი.—მათი უმრავლესობა, და განსაკუთრებით ინგლისის მინისტრები, უკვე მღელვარებს ხელახალი შეიარაღების მზარდი ხარჯების სიმძიმის გამო. ინგლისი და საფრანგეთი სერიოზულ ეკონომიურ კრიზისს უახლოვდებიან".

გაზეთი „ლუმანიტე" ოტავაში დასავლეთ სახელმწიფოთა თათბირის შესახებ

პარიზი, 22 სექტემბერი. (საკდესი). საფრანგეთის გაზეთები კომენტარს უკეთებენ ოტავაში დამთავრებულ დასავლეთ სახელმწიფოთა თათბირის შედეგებს.

ოტავაში მიღებული გადაწყვეტილებები, წერს გაზეთი „ლუმანიტე", შეეხება ეკონომიურ საკითხებს და დასავლეთ ევროპის ამერიკული ოკუპაციის დაფინანსებას. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, რობერ შუმანი, ჟორჟ ბიდო და რენე მეიერი (საფრანგეთის მინისტრები, თათბირის მონაწილენი.—რედ.) დათანხმდნენ შექმნან 30 საავიაციო და საზღვაო ბაზა ოკუპანტების ხარჯზე, ნამდვილად კი სხვანაირად გამოდის: საფრანგეთში შექმნილ ყველა სამხედრო ნაგებობას ანაზღაურებდა საფრანგეთის ხაზინა, რადგან ამერიკელებს „დაავიწყდათ" აენაზღაურებინათ თავიანთი ნაწილი. ეს კი მხოლოდ „სამუშაოთა პირველი რიგია". აჩესონმა ხომ მოითხოვა „კიდევ მეტი გაეკეთებინათ", და ჟორჟ ბიდომ მაშინვე განუცხადა ამერიკელ ჟურნალისტებს: „საფრანგეთი ფიქრობს, რომ მის ახლანდელ ღონისძიებებს ხელახალი შეიარაღების დარგში მაქსიმუმისათვის არ მიუღწევია". ეს ჩვენი ქვეყნისათვის ნიშნავს სიღატაკის გაძლიერებას, ინფლაციას, ფასებისა და სამხედრო გადასახადების ზრდას,—აცხადებს გაზეთი.

ქალაქი ქლუხორი. ხაბელოხნო სასწავლებლის ერთი კორპუსი.

ჭადრაკის ოსტატთა საკვალიფიკაციო ტურნირი

მეხუთე ტური

კარგ სპორტულ ფორმაშია ოსტატობის კანდიდატი მ. შიშოვი (თბილისი). მან ოსტატ მ. კამიშოვთან შეხვედრაში გაითამაშა ესპანური პარტიის ცნობილი ვარიანტი. ოსტატმა მ. კამიშოვმა (შავები) დაკარგა პაიკი. შემდეგი აქტიური თამაშით თეთრებმა ძლიერ შეავიწროვეს მოწინააღმდეგის პოზიცია. საკონტროლო ორმოცი სვლის შემდეგ პარტია გადაიდო; მ. შიშოვს მოსაგები მდგომარეობა აქვს.

უკეთეს პოზიციას მიაღწია ოსტატმა გ. გოლდბერგმა სიცილიური პარტიის დახურულ ვარიანტში (თეთრები) ოსტატობის კანდიდატის ა. ფირცხალავას წინააღმდეგ. მაგრამ უკანასკნელი შუა თამაშში კარგად იცავდა თავს. ფიგურების გაცვლის შემდეგ პარტია გადადებულია თანაბარ მდგომარეობაში.

პირველი მარცხი განიცადა ოსტატმა ა. ბანიკმა მოსკოვის ჩემპიონ ოსტატ ტ. პეტროსიანთან. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა ოსტატ ი. ლიპნიცკი—საერთაშორისო ოსტატ ლ. არონინის პარტია.

ოსტატობის კანდიდატმა პ. ქარსელაძემ კარგად ითამაშა ოსტატ ს. ფურმანთან. უკანასკნელმა მუდმივი ქიშით ყაიმს მიაღწია

ოსტატობის კანდიდატმა ა. ბლაგიძემ სუსტად გაითამაშა დებიუტი ოსტატ ა. სუეტინის წინააღმდეგ. სუეტინმა ხელთ იგდო ინიციატივა, ორ ფიგურაში მოიგო ლაზიერი და მალე პარტიაც.

ნ. ნოვოტელნოვ—თ. გიორგაძისა და გ. გასპარიან—ბ. გურგენიძის პარტიები გადადებულია თ. გიორგაძისა და ბ. გურგენიძისათვის წასაგებ მდგომარეობაში.

გ. გაჩეჩილაძე

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი

სასპორტო საზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური სპარტაკიადა

თბილისის სასპორტო ბაზებში სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სასპორტო საზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური სპარტაკიადა. სპარტაკიადის პროგრამაში იყო ფეხბურთი, ცურვა, ტანვარჯიში, მძლეოსნობა, სროლა, ფრენბურთი და ჭადრაკი. შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღო 600-მდე საუკეთესო სპორტსმენმა.

სპარტაკიადის მონაწილენი დაყოფილ იყვნენ სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედიოდნენ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და ქუთაისის გუნდები, მეორე ჯგუფში — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ფოთის, ახალციხის, გორის, მახარაძის, ზუგდიდის, ბორჯომისა და თელავის სპორტსმენები, ხოლო მესამე ჯგუფში თბილისის სასპორტო საზოგადოება „დინამოს" ყველა საბჭო.

პირველ ჯგუფში გამარჯვებული გამოვიდნენ აჭარის ასსრ სპორტსმენები, მეორე ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლექტივმა, ხოლო მესამე ჯგუფში თბილისის სასპორტო საზოგადოება „დინამოს" მე-6 რაისაბჭომ.

სასპორტო საზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს 1951 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ფეხბურთში ქუთაისის „დინამოს" კოლექტივმა, ხოლო ფრენბურთში—თბილისის სასპორტო საზოგადოება „დინამოს" პირველი რაისაბჭოს ფრენბურთელებმა.

სროლაში „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს 1951 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა შ. გაბარაშვილმა (თბილისი).

გამარჯვებულ კოლექტივებსა და სპორტსმენებს გადაეცათ ჯილდოები.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი — მოწინავე — ავამაღლოთ პარტიული განათლების დონე.

ხაბაროვსკის მხარისა და ჟიტომირის ოლქის პატაკები ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. საერთო სათაურით „მშვიდობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისათვის" წერილები: მეშახტეები თავიანთ ხელმოწერას განამტკიცებენ სტახანოვური შრომით. ქუთაისის მშრომელები მშვიდობის ვახტზე. სოფლის მშრომელთა ერთსულოვნება. დავიცვათ მშვიდობის საქმე. დიასახლისებთან. თამბაქო გეგმის გადამეტებით.

მეორე გვერდი—მისალმებათა ნაკადი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

პ. სოხაძე—საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა საპატიო მოვალეობა. რესპუბლიკური ინფორმაციები. საკავშირო ინფორმაციები.

მესამე გვერდი — შ. კუხალეიშვილი—უკეთ ვუხელმძღვანელოთ მეფოლადეთა შეჯიბრებას. ვ. მიხაილოვი—ცხოვრებას მოწყვეტილი ხელშეკრულებანი. ა. რაზუმოვსკი—კოლმეურნეობის თავმჯდომარე. საერთო სათაურით „წერილები საქართველოში"—წერილები: ვ. ავტონოვი, ბ. ტუროვეცკი—უნივერსიტეტის მშენებლი. ხ. ჯონუა—სკრეპერისტი ოჩამჩირიდან.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

ახალი წიგნი

სახელგამის პოლიტიკური ლიტერატურის სექტორმა გამოსცა **ლ. გორგილაძის** წიგნი, **„მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში"**.

წიგნი შედგება ოთხი თავისაგან: ისტორიული ვითარება; ქართველი ინტელიგენციის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულებანი XIX საუკუნის II ნახევარში; მარქსიზმის გავლენა ქართული მოწინავე საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე XIX საუკუნის II ნახევარში, მარქსიზმის გავრცელება და განვითარება საქართველოში.

წიგნი შეიცავს 272 გვერდს და ღირს 9 მანეთი.

მენდელეევის საზოგადოებაში

ხუთშაბათს, 27 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის აუდიტორიაში შედგება მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების საერთო კრება.

კრებაზე წაკითხულ იქნება შემდეგი მოხსენებანი — „მინერალური წყლების ჰიდროქიმიური შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა" (მომხსენებელი ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. ერისთავი), „აჭარა-თრიალეთის მინერალური წყლების ჰიდროგეოლოგია" (მომხსენებელი გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ტ. ჩიხუა), „მენჯის მინერალური წყლის ქიმიური ბუნების დახასიათება" (მომხსენებელი ქიმიკოსი ვ. ულუხანოვი).

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

27 სექტემბერს

6.45 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები. 9.20 — საოპერეტო მუსიკის კონცერტი. 18.10 — კონცერტი რადიოკომიტეტის სოლისტის ლ. დევდარიანის შესრულებით. 18.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 19.15 — კამერული მუსიკის კონცერტი. 20.30 — საუბარი: პრაქტიკის როლის შესახებ შემეცნების პროცესში. 21.00 — კომპოზიტორ მეიტუსის ოპერა: „ახალგაზრდა გვარდიის" მონტაჟი. 22.55 — გადაცემა მიძღვნილი ი. გონჩაროვის გარდაცვალების 60 წლისთავისადმი. 23.15 — ქართული მუსიკის კონცერტი. 24.00 — საბალეტო მუსიკა.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „ოქტომბერი", „იხანი" (საზაფხულო და საზამთრო დარბაზი), „კოლხიდა" (საზაფხულო და საზამთრო დარბაზი) — „განგაში"; „ამირანი"—„მექსიკელი ქალიშვილი" (საზამთრო დარბაზი), „განგაში" (საზაფხულო დარბაზი); „სპარტაკი" — „აყვავებული უკრაინა"; „თბილისი", კიროვის სახელობის —„მექსიკელი ქალიშვილი"; „კომკავშირელი"— —„მშვიდობა გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში" (საზამთრო დარბაზი), „სამხედრო საჰაერო ფლოტის დღე" (საზაფხულო დარბაზი); **26 კომისრის სახელობის** — „ანაიტ" (I და II დარბაზი), „მექსიკელი ქალიშვილი" (საზაფხულო დარბაზი); „დიდუბე"—„ცირკის არენაზე", (საზამთრო დარბაზი), „ჯამბაზები" (საზაფხულო დარბაზი); „კოლმეურნე"—„საჰაერო ეკროპატები".

დღეს თეატრებში

რუსთაველის სახელობის — „თბილისელი ქალიშვილი"; **მარჯანიშვილის სახელობის** — „ანტონიოს და კლეოპატრა; **გრიბოედოვის სახელობის**—„ცოცხალი ლეში" (46 და 47 აბ.); **მუსიკალური კომედიის** — „სიმღერა სიყვარულზე"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „წითელქუდა" (მე-3 აბ. 10 ს., 32 აბ. 4 ს.), „ბაში-აჩუკი" (მე-9 აბ. 8 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „კომბლე" (5 ს.); **თოჯინების ქართული** — „გაზაფხულის ყვავილი" (10 ს.); **ხანკულტურის**—„ჩემი სიღამაზე".

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს „გლავმეტალოსნაბის" საქართველოს კანტორა აცხადებს მომხმარებელთა საყურადღებოდ, რომ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის მინისტრის 1951 წლის 30 აგვისტოს ბრძანების საფუძველზე „გლავმეტალოსნაბის" საქართველოს კანტორა 1951 წლის 1 ოქტომბრიდან 15 ოქტომბრამდე აწარმოებს საწყობებში არსებულ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა სრულ ინვენტარიზაციას.

ამასთან დაკავშირებით შავი ლითონის და ლითონთა წარმოების გაცემა იწარმოებს მხოლოდ 30 სექტემბრამდე ჩათვლით.

ყველა ის ანგარიშები, რომლის მიხედვით ზემოხსენებული საქონელი გატანილი არ იქნება, უქმდება თანახმად შავი ლითონების მიწოდების ძირითადი წესის § 31-სა.

ადმინისტრაცია

მოქალაქე შოთა ერმილეს-ძე მახარაძემ მცხოვრებმა ფარკოფელის ქ. № 52, აღძრა საქმე ფარკოფელის ქ. № 39-ში მცხოვრებ მოქალაქე ლილი კონსტანტინეს ასულ გაჩეჩილაძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ლენინის რაიონის მეოთხე უბნის სახალხო სასამართლო.

საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტრესტის თანამშრომლები იუწყებიან **ხამხონ დარისპანის-ძე კვინიხიძის** გარდაცვალებას.

ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან **ბესარიონ ლევანის-ძე რატიანის** გარდაცვალებას.

მშობლები ვარვარა, დავით, ძმა ოთარ, დეიდები სონია ლორთქიფანიძე, პოლინა ზაგუმენავა, ბიძები დავით, გიორგი ქარსელები ოჯახებით იუწყებიან **გივი დავითის-ძე გლურჯიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26-IX, 7 ს. 30 წ. გამოსვენება 27-IX, 5 ს. 30 წ. ბელინსკის, 2.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო იუწყება **ვერა ავქსენტის ასულ ბიბილეიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26-IX, 7 ს. გამოსვენება 27-IX, 5 ს. წყალსაზიდის, 14.

ბებია მარო, ბიძები ნაპო, კარლო, ბიცოლა ხუტუ, მამიდა ნუცა, ბიძაშვილი ნინელი, მამიდაშვილები შუშანა, ელდარ, სიძეები ნ. სალია, შ. სამუშია იუწყებიან **ინეზა გენიას ასულ კვარაცხელიას** გარდაცვალებას.

მეუღლე ელისაბედ, შვილები ირაკლი, გოგი, ნონა, რძლები თინა, ზინა, შვილიშვილები ვოვა, ცაცო, გია იუწყებიან **ვლადიმერ ლუკასძე კონტრიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 26-IX, 8 ს. გამოსვენება 27-IX, 6 ს. მარჯანიშვილის, 65.

მშობლები გოგუცა, გენია კვარაცხელიები იუწყებიან **ინეზას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-IX. წალენჯიხაში.

[illegible] განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის [illegible] წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3 77-70

[illegible] „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03865